ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

## 21 მაისიდან! „ახალი თაობა“ + პატრიარქები 8 ლარი




25 — 26 მაისი, 2013 №122 (6123) ფასი: 30 თეთრი



## ბიძინა ივანიშვილი: „სააკაშვილი შეიძლება დავკითხოთ“

გვ.3

17 მაისს პოლიციის ქმედება ადეკვატური იყო

## გიგი წერეთელი: „საპრეზიდენტო კანდიდატს პრაიმერის გარეშე დავასახელებთ“

გვ.4





## ირაკლი ბათიაშვილი: „17 მაისის აქცია ბოკერიამ დაგეგმა“

გვ.4



გვ.2

## ჩოჩელს ბრალი უმძიმდება

ყოფილი გუბერნატორი ჟურნალისტ მაია მიშელაძეს 50 ათას ლარს სთხოვს



გვ.5

## სანდრო ბრეგაძე: „მერაბიშვილმა შესაძლოა სააკაშვილი ჩაუშვას“

## ნონა გაფრინდაშვილი: „ივანიშვილს უნდა დავუფასოთ, რეჟიმი უსისხლოდ გაუშვა“

გვ.2





გვ.6

## რატომ დაიხურა ზესტაფონის აგრარული ბაზარი?



ISSN 1987-9385

გვ.6

## რუსუდან შარაძე: „პრეზიდენტის გასამართლებას ველოდები“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ნონა გაფრინდაშვილი: „ივანიშვილს უნდა დავუფასოთ, რეჟიმი უსისხლოდ გაუშვა“

თამარ ნინიძე

**ინტერვიუ სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრ ნონა გაფრინდაშვილთან**



***— რატომ გადაწყვიტა სახალხო კრებამ ნინო ბურჯანაძის კანდიდატურის დაყენება საპრეზიდენტო არჩევნებზე?***

— შექმნილ სიტუაციაში, როცა პირველი პირი იქნება პრემიერ-მინისტრი, ამავე დროს, გამოიკვეთება, თუ რა მოვალეობები დაეკისრება პრეზიდენტს, ამისთვის, ჩვენი აზრით, შესაფერისი კანდიდატურა არის ქალბატონი ნინო. დიდი გამოცდილება აქვს საერთაშორისო ურთიერთობების. მას ეს მისცემს იმის საშუალებას, რომ სახელისუფლებო სტრუქტურებთან დააბალანსოს ურთიერთობა, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, საერთაშორისო არენაზე მისი ავტორიტეტი აამაღლოს. ის ჩვენი აღმასრულებელი საბჭოს წევრია, დიდი ხანია ვთანამშრომლობთ მასთან, კარგად შევიცანით ეს ადამიანი და მის მიერ გადადგმული ნაბიჯები მისი ოპოზიციაში ყოფნის დროს. ყოველივე ამან გადაგვაწყვეტინა მისი კანდიდატურის დაყენება საპრეზიდენტო არჩევნებზე.

***— როცა ივანიშვილი შემოვიდა პოლიტიკაში, ის შეგხვდათ სახალხო კრების წევრებს და იყო გარკვეული მცდელობები კოალიციიდან, რომ გადაებირებინეთ.***

— არა, დავაზუსტებ და შევასწორებ თქვენს კითხვას. ასე არ ყოფილა, რომ ბატონ ბიძინას ეთქვა, მიატოვეთ თქვენ სახალხო კრება და ჩემთან გადმოდითო, ჩვენ ერთი ორგანიზმი ვიყავით და არ ვართ ის ადამიანები, რომ ვინმეს ზურგი შევაქციოთ, მე, გია ბურჯანაძეს და კიდევ რამდენიმე ჩვენს წევრს შემოგვთავაზა დეპუტატად კენჭისყრა. ამაზე უარი ვთქვით მეც და გიამაც, იმიტომ კი არა, რომ „ქართულ ოცნებასთან“ კავშირი არ გვინდოდა, არამედ იმის გამო, გიას თავისი პროფესიით უნდოდა მოღვაწეობის გაგრძელება, არ აქვს სხვა ამბიციები. რაც შემეხება მე, ვთვლი, რომ ამ პროცესში ჩაბმული ვარ, მაგრამ მე არც ერთი თანამდებობა არ მინდა, ჩემი ასაკის გათვალისწინებით, არ მინდოდა არანაირი პოსტი, მხოლოდ კარგად ვხედავდი და ვაცნობიერებდი იმას, რაც ხდებოდა ქვეყანაში, წინა ხელისუფლება გენოციდს უწყობდა თავის ხალხს და ამ ბრძოლაში ჩავები მხოლოდ ქვეყნის გადარჩენის უდიდესი სურვილით. ჯერ ერთი, სურვილიც უნდა გქონდეს და ასევე ხელს უნდა გიწყობდეს წლოვანებაც, რომ იბრძოლო რომელიმე პოსტის დასაკავებლად. ჩემს ასაკში ეს ჩემთვის მიუღებელი იყო.

***— თუ ბურჯანაძე გაიმარჯვებს ამ არჩევნებზე, რა პოზიტიურ ცვლილებებს ელოდებით?***

— პოზიტიურ ცვლილებებზე კი არ არის საუბარი, არამედ იმაზე, რომ კარგად დაბალანსებული სიტუაცია იყოს ქვეყანაში. მას კარგი გამოცდილება და კარგი გზა აქვს. კარგად დავინახეთ, რომ ბოლომდე სანდო არის, როცა რაღაც პრობლემა იქმნება, თანაც მთელი თავისი ოჯახით ჩართულია ბრძოლაში. მისი ინტელექტი, ცოდნა, ასევე საერთაშორისო ურთიერთობები – ყველა ეს ფაქტორი ერთობლიობაში ამ გადაწყვეტილების მიღებაში იყო მნიშვნელოვანი. პრემიერი უნდა იყოს ძლიერი, მაგრამ საერთაშორისო ასპარეზზე გარკვეული გამოცდილების გარეშე პრეზიდენტის საქმიანობა შეუძლებელი იქნება. ჩვენ რომ ქალბატონი ნინო წარვადგინეთ, ეს არ ნიშნავს დაპირისპირებას „ქართულ ოცნებასთან“. ღმერთმა დაგვიფაროს ამისგან, იმიტომ რომ ბატონი ბიძინა არის ის პიროვნება, რომლის საწინააღმდეგოდ პირადად მე არც ერთ ნაბიჯს არ გადავდგამ. მიმაჩნია, რომ მან საოცარი რამ გააკეთა – ის რეჟიმი გაუშვა ხელისუფლებიდან, უსისხლოდ წარმოუდგენელი იყო ამ რეჟიმის მოშორება. ეს დასაფასებელია. მესმის, რომ მან დაასახელა ოცნების კანდიდატი, იქნებიან სხვა კანდიდატებიც. რომ ვიცოდეთ, ქალბატონი ნინო პრობლემებს შეუქმნის დღევანდელ ხელისუფლებას, არც სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს ერთი წევრი მის გვერდით არ იქნებოდა.

***— არიან საინტერესო კანდიდატურები. როგორი იქნება, თქვენი პროგნოზით, საარჩევნო კამპანია?***

— შეიძლება, კარგი ბევრი იყოს, მაგრამ იმ კარგებში უნდა აარჩიო უკეთესი. სოსო ცისკარიშვილს ჰკითხეს ერთხელ „მაესტროს“ ეთერში, რატომ არ ხერხდება კოალიციაში ქალბატონი ნინოს მიწვევაო. მან უპასუხა, ძლიერი კონკურენტი არავის სჭირდებაო. ხალხის გადასაწყვეტია, საკუთარი კანდიდატურის დაყენების უფლება ყველას აქვს, ამაში სასწაული არაფერია, მაგრამ მიმაჩნია, რომ იმ დონის პოლიტიკოსი, როგორიც ნინო ბურჯანაძეა არ შეიძლება, ამ პროცესებიდან იყოს შორს, მით უმეტეს, თუ საქართველოს ინტერესებს გავითვალისწინებთ.

# ჩოჩელს ბრალი უმძიმდება

## ყოფილი გუბერნატორი ჟურნალისტ მაია მიშელაძეს 50 ათას ლარს სთხოვს

შორენა მარსაგიშვილი

**მცხეთა-მთიანეთის ყოფილ გუბერნატორს საქმეები კარგად ვერ მისდის. მის გარშემო ხან რა სკანდალი აგორდება, ხან - რა. მისთვის მშვიდი არც გუშინდელი დღე ყოფილა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ ცეზარ ჩოჩელი „ახალ ვერსიას“ სასამართლოში უჩივის და ჟურნალისტ მაია მიშელაძისგან 50 ათას ლარს ითხოვს.**



— „ვერსიამ“ 24 მაისს მიიღო ოფიციალური სარჩელი სასამართლოდან – ცეზარ ჩოჩელი მორალური ზიანის კომპენსაციისთვის 50 000 ლარს ითხოვს! მეგობრებო და კოლეგებო, უპატიოსნესი ბიზნესმენ-გუბერნატორი, ცეზარ ჩოჩელი უჩივის „ვერსიის“ ყველაზე „კორუმპირებულ“ და ალოგიკურ ჟურნალისტს, მაია მიშელაძეს და მორალური ზიანის კომპენსაციისთვის, 50 000 ლარს ითხოვს, – გვაუწყა მედიას გაზეთის რედაქტორმა მაია ფურცელაძემ.



ამ ინფორმაციის გავრცელებას მედიაში დიდი ჟრიამული მოჰყვა. ალბათ ეჭვი არავის ეპარება, რომ ჟურნალისტები კოლეგის გვერდით დადგებიან. არც იმაში გვეპარება ეჭვი, რომ სასამართლო ობიექტურ განაჩენს გამოიტანს. „ახალი თაობა“ „ვერსიას“ და მაია მიშელაძეს სრულ თანადგომას უცხადებს.

თავისიანების თანადგომა დასჭირდება ცეზარ ჩოჩელსაც. მას სერიოზული ბრალდებები აქვს წაყენებული. გუშინ კი ბრალი კიდევ დაუმძიმდა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების მითვისების ბრალდებით, მცხეთის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი ვახტანგ ყიფშიძე და სააქციო საზოგადოება „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ ყოფილი გენერალური დირექტორი ზურაბ ჯანჯღავა დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებლის ვახტანგ ყიფშიძის დახმარებით, ორგანიზებულ–დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა მცხეთა–მთიანეთის ყოფილმა სახელმწიფო რწმუნებულმა ცეზარ ჩოჩელმა, ლუხუმ კაპანაძემ, მერაბ ყუფუნიამ და შპს „ნიუ ენერჯის“ დამფუძნებელმა ნიკოლოზ შაქარიშვილმა, 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს საომარი მოქმედებების შედეგად იძულებით გადაადგილებულ დევნილთა (წეროვანში, ფრეზეთსა და წილკანში) განსახლებისთვის, საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი 76 140 000 ლარიდან, ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობის ხელოვნურად გაზრდის გზით, 7 551 657 ლარი მიითვისეს.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენი სისტემის, ასპინძა–ახალქალაქის 30 კილომეტრიან მონაკვეთზე, სამშენებლო სამუშაოების შესრულებისთვის, „ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ ხელშეკრულება გააფორმა შპს „ნიუ ენერჯისთან.“ მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ღირებულება შეადგენდა 10 000 000 ლარს, სამუშაოების ხელოვნურად გაზრდის გზით, „ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ „ნიუ ენერჯის“ გადაურიცხა 17 700 000 ლარი. რის შემდეგაც აღნიშნულმა პირებმა 6 038 847 ლარი მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისეს.

მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც ითვალისწინებს 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

# პროკურატურა მერაბიშვილისა და ჭიაბერაშვილის იმუნიტეტთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

მთავარი პროკურატურის განცხადებით, საზოგადოებაში ვრცელდება განცხადებები იმის თაობაზე, რომ ექს-პრემიერ მერაბიშვილისა და ყოფილი ელჩისა და ყოფილი მინისტრის ზურაბ ჭიაბერაშვილის სისხლის სამართლებრივი დევნა არაუფლებამოსილმა პროკურორმა განახორციელა და თითქოს ეს იუსტიციის მინისტრის პრეროგატივა იყო.

— მთავარი პროკურატურა, საჭიროდ მიიჩნევს განმარტოს, რომ: პროკურატურის შესახებ კანონის ის დებულება, რომელიც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს, აგრეთვე საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანელჩს „სპეციალურ სუბიექტად“ განიხილავს და მათთვის შედარებით მაღალ იმუნიტეტს ითვალისწინებს (ანუ მათ დევნას მხოლოდ იუსტიციის მინისტრი ახორციელებს), ცალსახად გულისხმობს მოქმედი კაბინეტის წევრებს, მოქმედ ელჩებს, ანუ თანამდებობაზე მყოფ მინისტრებს და თანამდებობაზე მყოფ ელჩებს და არანაირ შეზღუდვას არ აწესებს ყოფილ მინისტრებზე და ელჩებზე, რადგან კანონი იცავს თანამდებობას და არა ამ თანამდებობაზე ოდესღაც მომუშავე ადამიანს.

ერთადერთი თანამდებობა, რომლიდან ჩამოცილების შემთხვევაში, ყოფილი თანამდებობის პირი გარკვეული ვადით ინარჩუნებს ამ ოდნავ მაღალ იმუნიტეტს, არის საქართველოს პარლამენტის წევრი, ისიც, მხოლოდ წინა მოწვევის ვადით, ანუ 4 წლით“, – აცხადებს პროკურატურა და განმარტავს, რომ „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ცალსახად მიჯნავს ერთმანეთისგან საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობას და საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიურ რანგს, რაც მიუხედავად დასახელების იდენტურობისა, სრულიად სხვადასხვა ცნებებია.

სისხლის სამართლებრივი დევნის სპეციალური სუბიექტია საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, როგორც მოქმედი უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის მქონე პირი და არა უმაღლესი დიპლომატიური რანგის, ანუ დიპლომატიური წოდების მქონე პირი. საგულისხმოა, რომ აღნიშნული გარემოება ზურაბ ჭიაბერაშვილისთვისაც კარგად არის ცნობილი, რაც მან დაადასტურა კიდეც დაკითხვისას, როდესაც განმარტა, რომ აქვს უმაღლესი დიპლომატიური რანგი, მაგრამ არ იცავს იმუნიტეტი, მითუმეტეს, რომ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისას ზ. ჭიაბერაშვილი იყო საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული კახეთში და ბუნებრივია, იმავდროულად ვერ შეითავსებდა ელჩის თანამდებობას, ვინაიდან ამას კრძალავს კანონი.

„აქვე საზოგადოებას შევახსენებთ, რომ წინა ხელისუფლების დროს სისხლის სამართლებრივი დევნა განხორციელდა სამცხე-ჯავახეთში საქართველოს პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის გრიგოლ ბარამიძის მიმართ, რომელიც მანამდე იკავებდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობას სომხეთში, ჰქონდა (და დღემდე აქვს) შესაბამისი რანგი, მაგრამ დევნა მის მიმართ განახორციელა რიგითმა პროკურორმა.

2004 წელს ქ. თბილისის პროკურატურამ დაიწყო კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის სისხლის სამართლებრივი დევნა და ამ შემთხვევაშიც დევნა განახორციელა რიგითმა პროკურორმა.

2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, ახალი ხელისუფლების პირობებში, ყოფილი მინისტრების: ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილის, ნიკა გვარამიასა და ალექსანდრე ხეთაგურის სისხლის სამართლებრივი დევნა ასევე განახორციელეს რიგითმა პროკურორებმა და ამის თაობაზე არა ვის და არსად პრეტენზია არ გამოუთქვამს, ვინაიდან სს დევნა კანონის სრული დაცვით განხორციელდა.

ამრიგად, ექს-პრემიერ მერაბიშვილისა და ყოფილი ელჩისა და ყოფილი მინისტრის ზურაბ ჭიაბერაშვილისმიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა განხორციელდა კანონით დადგენილი წესით“, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ბიძინა ივანიშვილი: „სააკაშვილი შეიძლება დავკითხოთ“

## 17 მაისს პოლიციის ქმედება ადეკვატური იყო

ნათია ხურცილავა

**პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი საქართველოში აკრედიტებულ ელჩებს გუშინ შეხვდა. ივანიშვილი ამბობს, რომ შეხვედრის სურვილი ორივე მხრიდან იყო. ელჩებმა ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით პირადად პრემიერისგან მიიღეს ინფორმაცია.**

ივანიშვილის მტკიცებით, დიპლომატიურ კორპუსს „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის დაკავებასთან დაკავშირებით ძალიან დაბალი ინტერესი აქვს. ეს განცხადება ბიძინა ივანიშვილმა დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ გააკეთა.

– ძირითადი შეკითხვები იყო 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით. გაცილებით ნაკლები ყურადღება დაეთმო მერაბიშვილის დაპატიმრებას. ძალიან დაბალი ინტერესი იყო ამასთან დაკავშირებით, 95% საუბრისა წარიმართა 17 მაისის მოვლენების თაობაზე. მერაბიშვილის დაკავებასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი კითხვა დაისვა, – აღნიშნა ივანიშვილმა და „ნაციონალური მოძრაობის“ ბრალდებებს გამოეხმაურა იმის თაობაზე, რომ ეს არის პოლიტიკური ანგარიშსწორება.

– მე აღარ ვპასუხობ ასეთ არასერიოზულ კითხვებს. ისინი საუბრობენ იმისთვის, რომ რაღაც თქვან. აბა, იმას ხომ არ იტყვიან, რომ მათი ლიდერი კრიმინალი არის? დაველოდოთ გამოძიებას. ჩვენ დავარწმუნეთ ყველა, რომ გამჭვირვალე ხელისუფლება ვართ. მე მაქვს პრეტენზია და დღევანდელ შეხვედრაზეც დავაფიქსირე, რომ ჩვენი ხელისუფლება ევროპული ხელისუფლებებისგან არაფრით განსხვავდება, – აღნიშნა პრემიერმა.

არ არის გამორიცხული, რომ სააკაშვილს პროკურორის კითხვებზე მოუწიოს პასუხის გაცემა. დიდი ალბათობით, როგორც გვითხრა პრემიერმა, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს პროკურატურა დაკითხავს. თუმცა, პრეზიდენტის პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცნობილია.

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, თუ კითხვები გაუჩნდება პროკურატურას და ამის ეჭვები უკვე არსებობს, ძალიან დიდი ალბათობაა, პრეზიდენტიც დაიკითხოს.

– თქვენ იცით, რომ გერმანიის პრეზიდენტთან დაკავშირებით წელიწადზე მეტია, მიდის გამოძიება და ის გადადგა კიდეც. მთლიანად, 718 ევროზეა საუბარი, თანაც ქრთამად კი არ აუღია, სასტუმროში ვილაცამ რაღაც ფული გადაიხადა მის ნაცვლად. ასე რომ, კითხვა, შეიძლება თუ არა პრეზიდენტი დაიკითხოს, აღარ უნდა გაჩნდეს. რა თქმა უნდა, უნდა დაიკითხოს პრეზიდენტიც, თუ კითხვები არსებობს და თუ მასზე ეჭვია. ეს ნორმალური პროცესია. კარგი იქნება, თუ გერმანიის პრეზიდენტის საკითხს წამოწევთ წინა პლანზე და საზოგადოებას აჩვენებთ, როგორ ცხოვრობს ევროპა. პრეზიდენტი არ არის ღმერთი და არც მონათმფლობელი. ის არის დემოკრატიული ქვეყნის (ასე ეწოდება ჩვენს ქვეყანას) პრეზიდენტი და ისევე აგებს პასუხს კანონის წინაშე, როგორც ნებისმიერი სხვა მოქალაქე. შესაბამისად, თუ კითხვები გაუჩნდება პროკურატურას და ეჭვი ამის არსებობს უკვე, რომ თუ მისი პრემიერ-მინისტრი დაპატიმრდა, ძალიან დიდი ალბათობაა, სააკაშვილსაც დაესვას კითხვები და ეს ნორმალურია, – განაცხადა ივანიშვილმა და დასძინა, რომ ევროპა ამას ნორმალურად მიიღებს.

როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი 17 მაისს განვითარებული მოვლენებით დაინტერესდა. ბიძინა ივანიშვილის ინფორმაციით, ეკლესია აპირებს, დასაჯოს ის პირები, ვინც საზოგადოებას აგრესიისა და ძალადობისკენ მოუწოდებდა. მისი თქმით, შეხვედრაზე ძირითადი ყურადღება სწორედ 17 მაისის მოვლენებზე გამახვილდა და ივანიშვილმა ელჩები დაარწმუნა, რომ მომავალში მსგავსი მოვლენების განვითარება ძალიან დაბალია ან საერთოდ არ არის.



– დავარწმუნე ელჩები, რომ მომავალში ალბათობა იმისა, რომ განმეორდეს ასეთი რამ, ძალიან დაბალია ან საერთოდ არ არის. ქართული საზოგადოება არის ძალიან ასაკიანი. ტოლერანტობა არ გვესწავლება ნებისმიერ უმცირესობასთან დაკავშირებით, თუმცა სექსუალური უმცირესობა რელიგიურ და სხვა ტიპის უმცირესობებთან შედარებით ახალია საქართველოსთვის და საზოგადოების დიდი ნაწილი ამას არ ღებულობს, – განაცხადა ივანიშვილმა და დასძინა, რომ აზრის გამოთქმა ნორმალურია, თუმცა არა ისე, როგორც 17 მაისს მოხდა.

პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ირაკლი ღარიბაშვილს, შინაგან საქმეთა მინისტრს, ეჭვი აქვს, რომ 17 მაისს განვითარებული მოვლენები გარედან იყო მართული.

– არ შეიძლება, უმრავლესობამ იძალადოს. ხელისუფლება ვალდებულია, აღკვეთოს ეს და საშუალება მისცეს უმცირესობებს, თავისი აზრი გამოხატოს. ვფიქრობ, დასკვნებს გავაკეთებთ და მომავლისთვის ხელისუფლება შედარებით კარგად იქნება მომზადებული. ვფიქრობ, შესაძლებელი იყო, ყველაფერი მშვიდობიანად ჩატარებულიყო, რომ არა ის ეჭვი, რაც შინაგან საქმეთა მინისტრს აქვს, რომ აქცია გარედან იყო მართული და ანგაჟირებული. – განაცხადა ივანიშვილმა, თუმცა არ დააკონკრეტა, რას გულისხმობს გარედან მართულში.

მისი განმარტებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ამაზე მუშაობს და თუ ინფორმაცია დადასტურდება, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება. მისი თქმით, 17 მაისს პოლიციის ქმედება აბსოლუტურად ადეკვატურა იყო. პრემიერი პატრიარქის მიერ გაკეთებულ განცხადებას იწონებს და ამბობს, რომ ეკლესიაც აცნობიერებს, რომ ზოგიერთმა სასულიერო პირმა კანონს გადააჭარბა.

– ეკლესიამ და საპატრიარქომ რეალური პოზიცია დაიკავა. პატრიარქმა კარგი განცხადებები გააკეთა. ეკლესიაც აცნობიერებს, რომ ზოგიერთმა სასულიერო პირმა გადააჭარბა კანონს და მათ პასუხი უნდა აგონ. მე მგონი, ეკლესიაც აპირებს შესატყვისად დასაჯოს საეკლესიო პირები, ვინც აგრესიისა და ძალადობისკენ მოუწოდებდა, – განაცხადა ივანიშვილმა და დასძინა, რომ მომავალში მსგავსი ფაქტის პრევენცია არის ის, რომ სამართალდამცველები ყველას მოსთხოვენ პასუხს, ვინც კანონი დაარღვია.

პრემიერ-მინისტრი იქვე აცხადებს, რომ პოლიციამ და ახალმა ხელისუფლებამ 17 მაისს უსაფრთხოების იდეალურად უზრუნველყოფა ვერ მოახერხა.

– 17 მაისის აქციაზე ჩვენი სურვილი იყო, რომ ის მაქსიმალურად მშვიდობიანი ყოფილიყო და დაგვეცვა სექსუალური უმცირესობები. სამწუხაროდ, იდეალურად ვერ მოახერხა ეს პოლიციამ და ახალმა ხელისუფლებამ. საერთოდ ჩვენი საზოგადოების სირცხვილი იყო ის, რაც მოხდა და როგორც განვითარდა მოვლენები, მაგრამ ვფიქრობ, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, პოლიცია ადეკვატურად მოიქცა, – განაცხადა ივანიშვილმა.

გუშინ ივანიშვილმა, ლგბტ საზოგადოების აქციამდე რამდენიმე საათით ადრე კომენტარი გააკეთა.

თუმცა, იქვე იკითხა, რას ნიშნავს – „არა თეოკრატიას“?

პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ აქციაზე ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის.

– გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრმა მითხრა ამის შესახებ. ის აკეთებს უსაფრთხოების ორგანიზებას, ამიტომ ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის, – განაცხადა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილმა კომენტარი ასევე გააკეთა სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით.

ქართული მხარე მზადაა, რუსეთს სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოდ ჩატარებაში დაეხმაროს.

ეს განცხადება ივანიშვილმა დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხვედრის დაწყებამდე გააკეთა ჟურნალისტებთან.

– ჩვენ გვაქვს დამოკიდებულება, რომ დავეხმაროთ მაქსიმალურად ღონისძიების უსაფრთხოდ ჩატარებაში. რასაც მოითხოვენ, ჩვენ ვითანამშრომლებთ. ჩვენ მაქსიმალურად უნდა მოვახერხოთ, რომ არაფერი მოხდეს ოლიმპიადის დროს ჩვენს საზღვართან, რადგან სოჭი ძალიან ახლოსაა, – განაცხადა ივანიშვილმა.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის სამინისტროში ცოტა ხნის წინ განვითარებულ მოვლენებს, ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ ივანიშვილმა განაცხადა, რომ კანონით მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი უნდა დასახელდეს.

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს სურვილი აქვს, გამოძიება სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრის დავით კირვალიძის სასარგებლოდ დასრულდეს და ის თანამდებობაზე დაბრუნდეს.

უკვე ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის მინისტრად შალვა ფიფია დაინიშნა.

შალვა ფიფია სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრის დავით კირვალიძის მოადგილე იყო.

– კანონით უნდა დაგვენიშნა ახალი მინისტრი. მოვალეობის შემსრულებელი არ შეიძლება, რომ უფრო ხანგრძლივი პერიოდით ყოფილიყო, შესაბამისად, ჩვენ დავემორჩილეთ კანონს, მაგრამ რბილი გადასვლა გავაკეთეთ. თუ ყველაფერი დასრულდება კირვალიძისთვის სასიკეთოდ, დაუბრუნდება თავის პოსტს. მე სურვილი მაქვს, რომ ასე დასრულდეს, – განაცხადა ივანიშვილმა.

გუშინ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრას ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ესწრებოდა. ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა გამოხატვის თავისუფლებაზე ისაუბრა ჟურნალისტებთან.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებლის ბრიჯიტ ბრინკის განცხადებით, ნებისმიერი დემოკრატიისთვის აუცილებელია, გამოხატვის თავისუფლება გარანტირებული იყოს.

ამის შესახებ ბრინკმა ჟურნალისტებს პრემიერ ივანიშვილისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების შეხვედრის შემდეგ დედაენის ბაღში დაგეგმილი ორი აქციის შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განუცხადა.

– ჩვენ ვიცით იმ შეკრებების შესახებ, რომელიც დაგეგმილია საღამოს. ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია უცვლელია, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაც და ნებისმიერი დემოკრატიისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია, შეკრებისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება გარანტირებული იყოს. ეს განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციითაც, – განაცხადა ბრინკმა.

ელჩის მოვალეობის შემსრულებელი კიდევ ერთხელ გამოეხმაურა 17 მაისს განვითარებულ მოვლენებს და აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გმობს ლგბტ პირების შეკრებაზე განხორციელებულ ძალადობას.

– ჩვენ ვაფასებთ იმ განცხადებას, რომელიც გააკეთა პრემიერ-მინისტრმა 17 მაისს მომხდარ ძალადობასთან დაკავშირებით. მივესალმებით მის დაპირებას, რომ ჩატარდება სათანადო გამოძიება და საჭიროების შემთხვევაში მოხდება ბრალის წაყენება იმ პირების მიმართ, ვინც დამნაშავეები არიან ძალადობაში, – განაცხადა აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა.

ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის ბრიჯიტ ბრინკის განცხადებით, საერთაშორისო საზოგადოება დიდი ინტერესით ადევნებს თვალს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის მიმართ მიმდინარე სამართლებრივ პროცესს.

ეს განცხადება ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა პრემიერ ივანიშვილისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების შეხვედრის დასრულების შემდეგ გააკეთა.

– საერთაშორისო საზოგადოება დიდი ინტერესით ადევნებს თვალს ყოფილი მთავრობის წევრების დაკავებებს. აშშ მიესალმება საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების მისწრაფებას და რჩება საქართველოს მტკიცე მხარდამჭერად. ასევე, აშშ მხარს უჭერს საქართველოში კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობას და სრულფასოვანი გამოძიების ჩატარებას უდანაშაულობის პრეზუმპციის საფუძველზე, – განაცხადა ბრიჯიტ ბრინკმა.

საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის ბრიჯიტ ბრინკის განცხადებით, ნებისმიერი დემოკრატიისთვის აუცილებელია, გამოხატვის თავისუფლება გარანტირებული იყოს.

### მშობლების მკვლელობისთვის დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა რუსთავში, ახმეტელის ქუჩაზე, 1976 წელს დაბადებული ბადრი შ. დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ცხელ კვალზე დააკავეს.

შსს-ს ცნობით, დაკავებულმა გუშინწინ, დაახლოებით 18:30 საათზე, საკუთარ საცხოვრებელ ბინაში, ურთიერთშელაპარაკებისას, საკუთარი მშობლები – 1942 წელს დაბადებული თამარ ქ. და 1940 წელს დაბადებული ანზორ მ. დანით სასიკვდილოდ დაჭრა. მრავლობითი ჭრილობების შედეგად ცოლ-ქმარი ადგილზე გარდაიცვალა.

მშობლების მკვლელობის მიზეზს ბადრი შ. ამ ეტაპზე არ ასახელებს. გამოძიება დაწყებულია დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის ფაქტზე (სსსკ-ის 109-ე მუხლის „ა“ პუნქტით, რაც 10-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველო აწარმოებს.

**მედიანიუსი**

### 21 წლის განმავლობაში ძებნაში მყოფი სიკვდილმისჯილი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის ა/რ მთავარი სამმართველოს და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, ქუთაისში, 1992 წლის 16 აგვისტოდან ძებნილი, 1957 წელს დაბადებული თამაზ ც. დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, პატიმრობაში მყოფი თამაზ ც. 1992 წელს აფხაზეთში მდებარე დრანდის მე-9 საგამოძიებო იზოლატორიდან გაიქცა, სადაც ის ყაჩაღობის, განზრახ მკვლელობის, ქურდობისა და ბანდიტიზმის ბრალდებით იყო მოთავსებული. მაშინდელი კანონმდებლობის შესაბამისად, ჩადენილი დანაშაულებისთვის თამაზ ც-ს სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილით დასჯა მიესაჯა. იზოლატორიდან გაქცევის გამო, 1992 წლის 15 აგვისტოს მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ვერ აღსრულდა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ თამაზ ც-ს მიერ ჩამოყალიბებული ბანდიტური დაჯგუფება აფხაზეთის ტერიტორიაზე თავს ესხმოდა მძღოლებს, ართმევდა მათ პირად ნივთებსა და ავტომანქანებს, რომლებსაც შემდეგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ყიდდა.

დაკავებული ამჟამად სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულებაშია გადაყვანილი.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, ამიტომ სასამართლო მისთვის ახალი სასჯელის შეფარდების შესახებ იმსჯელებს.

**ნიუსპრესი**

### გამოკითხულთა უმრავლესობა 17 მაისს პოლიციის მოქმედებას დადებითად აფასებს



საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 17 მაისიდან 24 მაისამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა, 17 მაისის აქციაზე, ქართული პოლიციის მოქმედებას დადებითად აფასებს.

კითხვაზე – „როგორ შეაფასებდით 17 მაისის აქციაზე პოლიციის მოქმედებას,“ გამოკითხვაში მონაწილეთა 71,7 პროცენტმა უპასუხა, რომ დადებითად აფასებს, 21,6 პროცენტი კი საწინააღმდეგო მოსაზრებას აფიქსირებს.

ამასთან, დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, გამოკითხულთა 6,7 პროცენტს გაუჭირდა.

**ნიუსპრესი**

# გიგი წერეთელი: „საპრეზიდენტო კანდიდატს პრაიმერის გარეშე დავასახელებთ“

შორენა მარსაგიშვილი

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავზე შავი ღრუბელი ჩამოწვა. პარტიის გენერალური მდივანი 21 მაისს დააპატიმრეს. გავრცელებული ინფორმაციით, ვანო მერაბიშვილს პრაიმერიში უნდა მიეღო მონაწილეობა. პრაიმერის მეშვეობით ნაცმოძს საპრეზიდენტო კანდიდატი უნდა გამოევლინა.

გუშინ კი გაირკვა, რომ ნაციონალური მოძრაობა საპრეზიდენტო კანდიდატს პრაიმერის გზით, სავარაუდოდ, აღარ გამოავლენს. ამის შესახებ საპარლამენტო უმცირესობის წევრმა გიგი წერეთელმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

— ნაციონალური მოძრაობისთვის ძალიან რთული იქნება, ალბათ, განაგრძონ მუშაობა პარლამენტში,



ისევე, როგორც ეს იყო ადრე და მიიჩნეოდა კოჰაბიტაციის რაღაც ერთ-ერთ გამოვლინებად. სამწუხაროდ, მერაბიშვილის დაჭერის გადაწყვეტილებით სხვა ეტაპი დაიწყო. გვსურდა, რომ პრაიმერი ჩაგვეტარებინა და მეტ-ნაკლებად კანდიდატებიც შერჩეული იყვნენ, თუმცა, ალბათ, ეს შეიცვლება. არსებობს ტრადიციული მეთოდოლოგია, კონსენსუსის წესით კანდიდატის შერჩევა, გამოკვლევების საფუძველზე და ა.შ., — განაცხადა წერეთელმა.

დეპუტატი წერეთელი ვანო მერაბიშვილის დაპატიმრებასაც შეეხო. მას არ უკვირს დასავლეთის მხრიდან ამხელა გამოხმაურება. ის მიიჩნევს, რომ მოქმედი პოლიტიკოსის, ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის დაკავებას ყველა ქვეყანაში მიეცემა კვალიფიცირება, როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილება.

როგორც წერეთელმა განაცხადა, თუ ეს პროცესი ამგვარად გაგრძელდება და ვანო მერაბიშვილი იქნება დატოვებული საპატიმროში, ის, რა თქმა უნდა, იქნება პოლიტპატიმარი.

მისივე შეფასებით, ძალიან სუსტი იყო ის ბრალდებები, რომლებიც მერაბიშვილსა და ჭიაბერაშვილს წარედგინათ და ის არგუმენტები, რომლებიც იქნა მოყვანილი მათი აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით, რომ მათ შეიძლება დატოვონ საქართველო. არადა, ის პრაქტიკა, რაც იყო და ის გამოცდილება, რაც ამ ადამიანების დაკითხვას უკავშირდებოდა, სულ სხვა რამეზე მეტყველებდა.

— ისინი დადიოდნენ, თანამშრომლობდნენ პროკურატურასთან დაკითხვაზე და ახსნა-განმარტებებს იძლეოდნენ. ვფიქრობთ, რომ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების ნაწილში ნამდვილად არ იყო საჭირო აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება ვანო მერაბიშვილის მიმართ; ასევე იყო ძალიან მკაცრი გირაოს თანხა ჭიაბერაშვილის მიმართ. რაც შეეხება დღევანდელ აპელაციას, ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, თუმცა ის განცხადებები, რაც კეთდება ამ დღეების განმავლობაში და რაც მანამდე კეთდებოდა მერაბიშვილის მისამართით, სავარაუდოა, რომ მის მიმართ გამოიყენონ აღკვეთის ღონისძიება. ჩვენ ვნახეთ, რომ გუშინ, გუშინწინ იყო საკმაოდ სერიოზული კრიტიკული განცხადებები როგორც აშშ-ის, ასევე ეუთოს მხრიდან. ეს არის პირველი ნაწილი, როცა ჯერ კიდევ არ არის ცნობილი სასამართლოს გადაწყვეტილება. მერაბიშვილის დაკავებით ხელისუფლებამ კოაბიტაციის პროცესი დაასრულა. ახლა დაიწყო სხვა ეტაპი. სხვა ვითარებაა. როგორ მოხდება ეს ყველაფერი, პოლიტიკური ტაქტიკის საკითხია. იქნება აქციები, გამოსვლები თუ ბოიკოტირება, ამაზე უახლოეს დღეებში ვიმსჯელებთ. ვითარება ამ კუთხით საკმაოდ გამძაფრდება, — ამბობს დეპუტატი.

ის ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესსაც შეეხო. ისაუბრა იმ ბრალდებებზეც, რომლებიც, მისი თქმით, აბსურდულია.

— ბაჩო ახალაიას მიმართ საოცარი ბრალდებები იყო, თუმცა ყველა სასამართლო პროცესზე ჩანს, რომ მტკიცებულებების დიდი ნაწილი არ არსებობს, ამიტომაც იმედოვნებს, რომ მერაბიშვილის შემთხვევაშიც კიდევ უფრო ბევრი არგუმენტი და ბრალდება იქნება გაქარწყლებული, — აღნიშნა წერეთელმა.

წერეთელი ბოლო დღეების აქტუალურ თემას, ლგბტ პირებს აქციის დარბევასაც შეეხო. წერეთელი მიიჩნევს, რომ ლგბტ ჯგუფების პროპაგანდა საჭირო არ არის.

— საზოგადოებაში უნდა დავიცვათ ინდივიდი, ადამიანების პიროვნული უფლება და არ უნდა იყოს, თუ ის არ აზარალებს სახელმწიფოს ან საზოგადოებას, ისეთი ქმედებები ჩადენილი, რაც 17 მაისს ვიხილეთ. აქ შინაარსი უნდა გავარკვიოთ კარგად — აკრძალვა რას ნიშნავს? რა სანქციები უნდა ჰქონდეს? საქართველოს კანონმდებლობაში არსებობს სანქციები, ზოგადად, სექსუალური ტიპის ლიტერატურის, პორნოგრაფიისა და სხვაგვარი უხამსობის გავრცელებასთან დაკავშირებით. არ ვიცი, კონკრეტულად რას აპირებენ. ყველა კანონი შეიძლება იყოს მოდერნიზებული. დარწმუნებული ვარ, თუ კითხვით მიმართავენ საზოგადოებას, საჭიროა თუ არა პროპაგანდა ლგბტ ჯგუფების ან ჰომოსექსუალიზმის ან სხვა, მე არ მგონია, საზოგადოებაში ვინმე იყოს ერთ მხარეს ან მეორე მხარეს და მათ თქვან, რომ კი, საჭიროა ასეთი პროპაგანდა. მგონია, რომ ამგვარი პროპაგანდა საჭირო არ არის. ეს არ არის სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლების დაცვა. იქ იყო უამრავი ადამიანი, ვინც არ წარმოადგენდა სექსუალურ უმცირესობებს, მაგრამ სოლიდარობას უცხადებდა ადამიანის თავისუფლებას. იმ ხალხმა კი, ვინც ავტობუსს მისდევდა, სრულიადაც არ იცოდა, ზოგიერთ ავტობუსში ვინ იჯდა და შეიძლებოდა, სრულიად ნეიტრალური დაზარალებულიყო ან დაეკარგა სიცოცხლეც. ამიტომაც ამის პრევენცია ვერ მოხერხდა. ფაქტი ნათელი იყო, რომ ის, რაც მოხდა 17 მაისს, ხელისუფლების სერიოზული ჩავარდნა იყო. იმედი ვიქონიოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ სასურველი შეიძლება არ იყოს ყოველდღიურად დაპირისპირებული ჯგუფების აქციები საქართველოში, მაგრამ, თუ ეს ამ დროს თან სდევს და რაღაც აუცილებლობა არის ამის, პოლიციამ და სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ის ინსტრუმენტები, რომლებიც მას გააჩნია, აღკვეთოს კანონდარღვევები და დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი, — აღნიშნა გიგი წერეთელმა.

# 9 წლის განმავლობაში აბორტები 300%-ით გაიზარდა

მერი ნამორაძე

**პოლიტიკური ციებ-ცხელება საქართველოში იმდენად მაღალია, აბორტის აკრძალვა–არაკრძალვის შესახებ დაწყებული სჯა-ბაასი საზოგადოებას გადაავიწყდა. თუმცა, პრობლემა ქვეყანას ისევ შეახსენა თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა, რომელმაც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში არსებული მონაცემები გამოაქვეყნა. სამინისტროს ინფორმაციით, 2004-2012 წლებში საქართველოში ორსულობის შეწყვეტის 221 082 ფაქტი დაფიქსირდა.**

აღმოჩნდა, რომ აბორტების დინამიკა ყოველწლიურად იმატებს და 2004 წლის მონაცემთან შედარებით 2012 წლის წინასწარი მონაცემი 130%-ით არის გაზრდილი. რაც შეეხება ხელოვნური აბორტების რიცხვს, 2012 წლის მაჩვენებლებით, ხელოვნური აბორტების რაოდენობა 300%-ით არის გაზრდილი 2004 წლის მონაცემთან შედარებით, ხოლო 2011 წელთან მიმართებაში ზრდა 25%-ს შეადგენს. საქართველოში მზარდი ტენდენცია შეინიშნება როგორც ხელოვნურ, ასევე თვითნებური (სპონტანური) აბორტების შემთხვევებშიც. 2004 წლის მონაცემთან შედარებით 2012 წელს თვითნებური აბორტების რაოდენობა დაახლოებით 110%-ით გაიზარდა.

გამოსავლის მოძებნა ამ ვითარებიდან ძალზე რთულია, რადგან ერთი ხელის მოსმით აბორტის აკრძალვა არალეგალურად ამ მანიპულაციის ჩატარების რისკს ზრდის. მედიკოსები უდავოდ თანხმდებიან იმაზე, რომ როგორც კი იატაკქვეშეთში გადაინაცვლებს აბორტი, ქალების ჯანმრთელობას კიდევ უფრო დიდი საფრთხე დაემუქრება.

დემოგრაფთა ნაწილი გამოსავალს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების პოპულარიზაციაში ხედავს, რომელმაც აბორტი უნდა ჩაანაცვლოს, როგორც ეს ევროპაში მოხდა. დემოგრაფები განმარტავენ, რომ თანამედროვეობა ცხოვრების ისეთ რიტმს კარნახობს ოჯახებს, აბორტის აკრძალვა შობადობის გაზრდას არ შეუწყობს ხელს. ერის გამრავლება აბორტის აკრძალვას ნაკლებად უკავშირდება, მთავარი ამ შემთხვევაში შვილთა ყოლის მოთხოვნილების ამაღლებაა, რაც მოზარდობის ასაკში უყალიბდებათ ადამიანებს.

მედიკოსები და დემოგრაფები იმაზე თანხმდებიან, რომ დემოგრაფიულ პრობლემას აბორტის აკრძალვა ვერ გადაწყვეტს. შვილთა ყოლის მოთხოვნილების ზრდა პირდაპირკავშირშია ქვეყანაში არსებულ სოციალურ ვითარებასთან, რადგან ზოგჯერ, მიუხედავად ასეთი მოთხოვნის არსებობისა, ოჯახი იძულებულია შვილის ყოლა გადაავადოს მწირი შემოსავლების გამო. რამდენიმე წლით მეორე-მესამე შვილის გადავადება კი ზოგჯერ უვადო გადავადებაში გადაიზრდება ხოლმე.

სამწუხაროდ, ორსულობის შეწყვეტის შემთხვევები 15 წლამდე მოზარდების ასაკობრივ კატეგორიაშიც ფიქსირდება. სააგენტო „პირველის“ ინფორმაციით, 2012 წლის მონაცემებით, მათ მიერ ჩატარებული აბორტის 20 შემთხვევა დაფიქსირდა (მათ შორის 11 ხელოვნური). 2012 წელს აბორტების ყველაზე დიდი წილი 48,4% მოდის 20-29 წლამდე ასაკის ჯგუფზე.

აბორტებთან დაკავშირებული მონაცემები თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა გამოითხოვა აგრეთვე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან. ეროვნულმა სამსახურმა 2004-2011 წლების მონაცემები გამოამზეურა. სამინისტროდან და სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებულ მონაცემებს შორის გამოვლენილია მცირე განსხვავებები, რომელიც უკავშირდება 2011 წლის მონაცემებს, თუმცა ფაქტად რჩება ის, რომ საქართველოში არსებული აბორტების ზრდის საგანგაშო დინამიკა ორივე დაწესებულებიდან მიღებული მონაცემებით დასტურდება.

# ირაკლი ბათიაშვილი: „17 მაისის აქცია ბოკერიამ დაგეგმა“

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოში დღეს ყველა ლგბტ პირების დაწიოკებაზე ტირის. 17 მაისის მოვლენებმა ლამისაა ვანო მერაბიშვილის დაპატიმრების ამბავი გადაფაროს. ერში აღშფოთებამ განსაკუთრებით მას შემდეგ მოიმატა, რაც სასულიერო პირების პასუხისმგებლობის საკითხი დადგა.**



ირაკლი ბათიაშვილის განცხადებით, 17 მაისს სექსუალური უმცირესობების აქციის დამგეგმავი და მაპროვოცირებელი უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია იყო.

— საქართველოში ჰომოფობიის საწინააღმდეგო აქციის ჩატარების აუცილებლობა არ არსებობდა. ეს სპეციალურად გააკეთეს, რომ ამხელა რეაქცია გამოეწვიათ საზოგადოების დიდ ნაწილში. საქართველოში ჰომოფობიის გამოვლინება არასდროს ყოფილა და ეს პროვოცირებული იყო. ამით კი დღევანდელი ხელისუფლებისა და ეკლესიის დისკრედიტაცია სურდათ, — განაცხადა სახალხო კრების ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ბათიაშვილმა.

ბათიაშვილი უშიშროების საბჭოს მდივნის, გიგა ბოკერიას პასუხისმგებლობის საკითხის დასმასაც ითხოვს. მისი განცხადებით, ბოკერიას სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი პირველ რიგში ე.წ. ციხის ბუნტთან დაკავშირებით უნდა დადგეს.

— რეალურად, ციხეში არავითარი ბუნტი არ ყოფილა და ტყუილად დახოცეს ადამიანები. მათი მთავარი მიზანი შიშის დათესვა იყო — ამის მოთავე კი გიგა ბოკერია იყო. მისი პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად უნდა დადგეს, — აღნიშნა სახალხო კრების ლიდერმა.

მისივე თქმით, სწორედ გიგა ბოკერია იყო ნულოვანი ტოლერანტობის იდეოლოგიის ავტორი, საიდანაც გამომდინარეობდა მასობრივი დაპატიმრებები, ასევე პატიმრობაში მყოფი ხალხის მიმართ სასტიკი მოპყრობა, ის კი ამის იდეოლოგი იყო როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად.

გარდა აღნიშნულისა, სახალხო კრების ლიდერმა ბოკერია სასამართლო სისტემის მარიონეტიზაციასა და ეკლესიის მიმართ ფარული პოლიტიკის გატარებაშიც დაადანაშაულა.

— ეკლესიის მიმართ ფარული პოლიტიკის გატარება გულისხმობდა — ეკლესიისათვის ძირგამომთხრელ მუშაობას. კუდში სპეციალური დანაყოფი იყო შექმნილი, რომელსაც სამღვდელოებაზე მუშაობა ევალებოდა. საუბარია მუდმივ თვალთვალსა და მოსმენებზე, ეკლესიის მსახურების და თვითონ ეკლესიის დისკრედიტაციის მიზნით. ბოკერია არც კორუფციის მხრივ არის პატიოსანი. გიგა ბოკერიას მამამ სამშენებლო ბიზნესში, ბოკერიას ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, მონოპოლია მოიპოვა. შეადარეთ ბოკერიას კაპიტალი, რა ჰქონდა ვარდების რევოლუციამდე და რა აქვს ვარდების რევოლუციის შემდეგ, — აცხადებს ბათიაშვილი.

რამდენიმე თვის წინ ირაკლი ბათიაშვილმა განაცხადა, რომ ვილაცებს ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაცია სურდათ. ამ თემაზე მან გუშინ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზეც ისაუბრა.

ბათიაშვილი არ გამორიცხავს, რომ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციას უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია გეგმავს.

— ადრეც განვაცხადე, რომ მქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იყო საუბრები ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციის შესახებ. არ გამოვრიცხავ, რომ ისეთ ექსტრემისტული ცნობიერების პატრონ პიროვნებაში, როგორიც ბოკერიაა, ის აღმოჩნდეს მსგავსი იდეების ინიციატორი. ეს ყურად უნდა იღოს ჩვენმა დღევანდელმა ხელისუფლებამ., რადგან, თუ არჩევნებამდე ივანიშვილის ლიკვიდაცია მოხდება, კონსტიტუციის თანახმად, მიხეილ სააკაშვილს აქვს ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნის უფლება და ამით 180 გრადუსით შეიცვლება ყველაფერი. ამის საფრთხე არსებობს და ეს ჩემი ანალიზის შედეგია, — აღნიშნა მან.

## შსს-მ 17 მაისის ინციდენტთან დაკავშირებით ბრალი კიდევ 2 პიროვნებას წაუყენა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე-VII განყოფილების თანამშრომლებმა, შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფის

ფაქტზე, 17 მაისს, ვაჩნაძის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტის მონაწილე ორ პირს -1991 წელს დაბადებულ ბექა ს.-ს და 1982 წელს დაბადებულ ტიტალ დ.-ს ბრალი წაუყენეს.

ბრალდებულები დანაშაულს აღიარებენ. გამოძიება შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფის, უკანონოდ და ძალადობით ხელის შეშლის ფაქტზე სსკ-ის 161-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში 17 მაისის ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიება გრძელდება. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ნიუსპრესი

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ სანდრო ბრეგაძესთან

# სანდრო ბრეგაძე: „მერაბიშვილმა შესაძლოა სააკაშვილი ჩაუშვას“



***— ბატონო სანდრო, 17 მაისის შემდეგ ვხედავთ, როგორ მიმდინარეობს ეკლესიის დისკრედიტაცია. თქვენ აღნიშნულთან დაკავშირებით საკმაოდ მკაცრი განცხადებები გააკეთეთ. რა ხდება, ღიად გამოუცხადეს ბრძოლა ქართულ ეკლესიას?***

— ჩემი შეფასებები აქ არის ცალსახა, იმიტომ რომ, მოდით, ასე ვთქვათ, 17 მაისის აქციამ, რომელიც მართლმადიდებლებმა ჩაატარეს საქართველოში მამათმავლობის წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, ეს იყო ქართველი პატრიოტების მიერ ჩატარებული აქცია, რომელთა მიზანი იყო ერთი რამ, რომ არ დაეშვათ წმინდა ადგილებში გარყვნილების პროპაგანდა. ეს ცალსახა და თვალნათელია და მათი კეთილშობილური მიზანი, რა თქმა უნდა, ჩემთვის, თქვენთვის და ნებისმიერი ქართველისთვის მისაღებია. 17 მაისის აქციამ, საკმაოდ რთულ და საშიშ პროცესებს დაუდო სათავე. მე, სხვათა შორის, იმ ადამიანებს, რომლებიც აღფრთოვანებულები მოდიოდნენ იმ აქციიდან, მათ შორის იყვნენ ჩემი მეგობრებიც, მე ისინი მაშინვე გავაფრთხილე, რომ ეს აქცია 17 მაისს კი არ დამთავრდა, არამედ 17 მაისს დაიწყო, იმიტომ რომ ეს თავიდან ბოლომდე იყო ჩაფიქრებული პროვოკაცია, თავისი პირველი დღით, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე დღით. ეს გამოჩნდა იმ დაგეგმილი სცენარის განვითარებით, რომელი სცენარიც შემდგომში განვითარდა. მე საკმაოდ ხშირად ვიძახი, რომ ამ ყველაფერს ხელმძღვანელობს უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია, რომელსაც საკმაოდ ბევრი ბერკეტები აქვს. ოლიკოფობებმა ანუ ადამიანებმა, რომლებიც ყოველგვარი ტრადიციულების მოწინააღმდეგენი არიან, მართლმადიდებლების მიერ მოსაგები ბრძოლა 17 მაისს, გამოიყენეს თავიანთი გამარჯვებისთვის. მათ წარმატებით გამოიყენეს პრესის და ტელევიზიების მონოპოლიზება, თავისი უდიდესი ფინანსური რესურსი და ამავე დროს პროვოკაციაზე წამოაგეს მართლმადიდებლები. გამოიყენეს შეგზავნილი აგენტურა, გაუცნობიერებელი ხალხის აგრესია და შემდგომში ეს ყველაფერი საერთაშორისო ორგანიზაციებს მოსდეს და ქვეყნის შიგნით კი დაიწყეს აქტიური პროპაგანდა, ვითომდა რაღაც მოსალოდნელი თეოკრატიის საფრთხის წინააღმდეგ. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ 17 მაისს მართლმადიდებელთა მოქმედება იყო სპონტანური და ქაოსური, მათ არ ჰქონდათ არანაირი გაწერილი გეგმა და ორგანიზაციაც კი არ იყო ამ აქციის არანაირი. სწორედ არაორგანიზებულობამ გამოიწვია ის მართლაც არმოსაწონი ფაქტები, როდესაც ქუჩა-ქუჩა ვიღაც ახალგაზრდები, მართლაც გამოგონილ ვიღაც ლგბტ პირებს დასდევდნენ და თვითონ არ იცოდნენ რას აკეთებდნენ. ეს აბსოლუტური უაზრობა იყო დ არავისთვის მოსაწონი არ არის. არაფერი არ იქნებოდა, თუკი ამდენი ხალხი გამოვიდოდა ქუჩაში, დააფიქსირებდა თავის პროტესტს და ერთი მხარეც მშვიდობიანად დაიშლებოდა და მეორეც.

***— ეს ქაოსი ვიღაცის ინტერესებში შედიოდა?***

— ყველაფერმა ამან, რომელიც, რა თქმა უნდა, ვიღაცის ინტერესებში იჯდა, მიაღწია იმ სანუკვარ მიზანს, რომელიც ბოკერიას, ჩერგოლეიშვილს, რამიშვილს და კიდევ მათნაირ ადამიანებს აქვთ. დაადანაშაულეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ძალადობაში და ის თავის მართლების რეჟიმში გადაიყვანეს. დღეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, პირველად ჩემს ცნობიერებაში, პირველად არის თავის მართლების რეჟიმში გადასული და მე ვფიქრობ, რომ ეს არის საკმაოდ ცუდი რამ. რაც სურდათ ამ ადამიანებს, ანუ 17 მაისის გეიაქციის ორგანიზატორებსა და პროვოკატორებს, ეს ყველაფერი შესრულდა და დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაზე პირდაპირი შტურმი დაიწყო. გამოიყენეს რაღაც თეოკრატიის საშიშროება და ამ თეოკრატიის საშიშროებაზე საუბრობენ ვითომ ინტელექტუალები, რომლებსაც ინტელექტთან არანაირი კავშირი არა აქვთ და საერთოდ მათ პატრიოტობაზე და ქართველობაზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ ეს ყველაფერი არის კარგად შეფუთული და ჩვენ ვხედავთ დღეს, რომ ეკლესია, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა არის წაგებულ მდგომარეობაში, ხოლო ეს უმცირესობა და თანაც აგრესიული უმცირესობა, არის მოგებულის პოზიციაში. ამ ადამიანებს მე ძალიან კარგად ვიცნობ, ამ ე.წ. ინტელექტუალებს. ზოგიერთი ჩემი კლასელია, ზოგი ჩემი კურსელია, ზოგიც ყოფილი მეგობარი და მე ძალიან კარგად ვიცი, თუ ვინ არიან ესენი. ძალიან კარგად ვიცი, თუ როგორი სასტიკი და დაუნდოებელი სული იმალება მათი ვითომდა ინტელექტუალური ჰაბიტუსის მიღმა. ეს არ დამთავრდება კარგად, ეს არ იქნება კარგი შედეგების მომტანი. ამის კიდევ ერთი მიზეზი არის ის, რომ ნაციონალური მოძრაობის ნარჩენებმა, გეტყვით, რომ ესენი ყველანი ნაციონალური მოძრაობის წევრები არიან სულით და გულით. მათ მშვენივრად დაინახეს, რომ სახელმწიფოში, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების დროს არსებობდა, ერთადერთი შემაკავებელი ფაქტორი იყო ქართული მართლმადიდებელი ეკლესია. ის იყო ყოველთვის სახელმწიფოს ერთიანობის და დემოკრატიის გარანტი და თუნდაც ნაციონალური მოძრაობის დროს, მათი აღვირახსნილი ქმედებების შემაკავებელ ერთადერთ ძლიერ ძალად გვევლინებოდა ეკლესია. სწორედ დღეს უკანასკნელი ფაქტორი გახლავთ ეკლესიასთან ბრძოლის დაწყების ძირითადი მიზეზი.

***— ბრძანეთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლების ერთადერთი შემაკავებელი ფაქტორი იყოო და რა შეიცვალა დღეს, ახალი ხელისუფლების პირობებში?***

— ახალი ხელისუფლების პირობებში რა შეიცვალა და შეიცვალა ერთი რამ, ჩვენ ვხედავთ, რომ რეალურად ამ პროცესებში, ბრძოლა მიმდინარეობს არა ვთქვათ სახელისუფლებო ძალებსა და ოპოზიციურ ძალებს შორის, არამედ აქ უკვე აღრეულია ყველაფერი. აქ, ფაქტობრივად, ზოგიერთი სახელისუფლებო ძალა და ნაციონალური მოძრაობა ბევრად უფრო კარგად უგებს ერთმანეთს, ვიდრე კოალიციაში შემავალი პარტიები და კოალიციაში შემავალი პირები. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, მაგალითად გიგა ბოკერიას, თამარ ჩერგოლეიშვილის და რესპუბლიკური პარტიის ზოგიერთი ლიდერის პოზიციები, ბევრად უფრო თანხვედრილია, ვიდრე დათო საგანელიძის, მანანა კობახიძის, ზვიად ძიძიგურის და ეკა ბესელიას პოზიციები რესპუბლიკურ პარტიასთან ამ საკითხთან მიმართებაში და ეს საკითხი არ გახლავთ რაღაც ჩვეულებრივი საკითხი, რიგითი საკითხი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ეს გახლავთ ქართული სახელმწიფოებრიობისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი, თუ როგორი უნდა იყოს ეკლესიის როლი ქართული სახელმწიფოს განვითარებაში და მომავალ საქართველოში. აქ ძალიან დიდი განსხვავებებია და ამან უკვე თავი იჩინა. მე ვერავინ ვერ შემეკამათება იმაში, რომ ეს ესე არ არის. დღეს ქართული ოცნების კოალიციაში არსებობს საკმაოდ დიდი განსხვავებული პოზიციები. ეს არის ძალიან რთული და ძალიან საშიში ღირებულებითი პროცესების დაწყების ერთგვარი ნიშანი. დასკვნა აქედან მარტივი გამოსატანი უნდა იყოს. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლის შემცირება ქვეყანაში, ქართული სახელმწიფოებრიობის კვდომის ტოლფასი იქნება და ამის საშუალება ჩვენ არავის არ უნდა მივცეთ. მე არ ვამბობ, რომ წარსულშიც და აწმყოშიც ყველა სასულიერო პირის მოქმედებით ვიყავი აღფრთოვანებული. არ ვიყავი აღფრთოვანებული და არც ახლა ვარ იმ მეუფის საქციელით აღფრთოვანებული, რომლებიც ორდენებს და დითირამბებს უძღვნიდნენ სააკაშვილს. ზოგიერთი მღვდელმსახურის მოქმედებით ნამდვილად არა ვართ კმაყოფილი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მართლმადიდებელ ეკლესიაზე უნდა მოხდეს გარკვეული ზეწოლა. მართლმადიდებელი ეკლესია სწორედ არის ის ფენომენი ქართულ რეალობაში და ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელზეც დგას ქართული სახელმწიფოებრიობა. როგორც კი მართლმადიდებელი ეკლესიის როლი სახელმწიფოს განვითარებაში არ იქნება გადამწყვეტი და უმნიშვნელოვანესი, იმ წუთშივე ქართული სახელმწიფოებრიობა, ქართველობა და ქართველი ერი კვდომას დაიწყებს. ეს მშვენივრად იციან საქართველოს მტრებმა და ისინი მშვენივრადაც ახორციელებენ ამ ყველაფერს. ბოკერია, ჩერგოლეიშვილი, რამიშვილი, ადეიშვილი, სააკაშვილი, მერაბიშვილი და თუთბერიძე რომ საქართველოს შეგნებული მტრები არიან, მე მგონი, ამაზე კამათი არც ღირს. ჩვენდა სამწუხაროდ, მათ ჰყავთ მხარდამჭერები აქეთა მხარესაც, რაც ძალიან ცუდია.

***— ბატონო სანდრო, 17 მაისის აქციაში ჩადებული იყო ის, რომ უნდა მომხდარიყო ქართული ეკლესიის დისკრედიტაცია?***

— რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია, რომ ადამიანებს, რომლებიც ასე აქტიურობენ, ანალიზის უნარი არ გააჩნიათ. ვისაც ანალიზის უნარი გააჩნიათ და რომლებიც არიან ეროვნულ ფესვებზე და ეროვნულ იდეოლოგიაზე დამყარებული, მაქსიმალურად ცდილობენ, რომ ასეთი ადამიანების იზოლაცია მოახდინონ. თქვენ თუ დააკვირდებოდით, ტელევიზიაში გამოჰყავთ, ვთქვათ, ეკლესიის მოწინააღმდეგე პირები, რომელიც არიან „ინტელექტუალები“, რომლებსაც შეიძლება სამი წიგნით მეტი ჰქონდეთ წაკითხული თავიანთ ოპონენტზე, ხოლო ეკლესიის დამცველებად გამოჰყავთ ისეთი პირები, რომლებიც მარგინალები არიან და მათი ინტელექტუალური თუ პოლიტიკური ბაგაჟი საკმაოდ მწირია, რაც, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ მაყურებელში ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ ეკლესიის მოწინააღმდეგე ფსევდოლიბერალური ოლიკოფობები არიან განათლებული და ჩამოყალიბებული ადამიანები, ხოლო აქეთკენ არიან ბნელეთის მოციქულები, რომლებმაც მხოლოდ იმის ყვირილი იციან, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოსო და ეს ყველაფერი მშვენივრად ხორციელდება. თუმცა საქმე პირიქით არის, ეკლესიის დამცველებში ძალიან ბევრი ინტელექტუალია, ისეთი ინტელექტუალი, რომ ამ ნაციონალების მეხოტბე ბულაძეს თუ დეფი გოგიბედაშვილს, ამ ვაიპოეტს, რომლის პოეზიას ვერასდროს ვერავინ გაიგებს, ჯიბეში ჩაისვამენ. ამიტომ ვამბობ მე, რომ 17 მაისი იყო არა იმ დღეზე გათვლი მოვლენა, არამედ ეს იყო იმ ოპერაციის დაწყება, რომელსაც ორი პატრიარქი, ორი ეკლესია ეწოდება და რომელიც გიგა ბოკერიას თავის დროზე, ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჰქონდა ჩაფიქრებული. ეკლესიაზე შეტევა უფრო გაძლიერდება, რათა დისკრედიტაციის ფონზე მოხდეს ქართული ეკლესიის გახლეჩა რამდენიმე ნაწილად და ამით მართლმადიდებლობის საბოლოოდ დასუსტება. სხვათა შორის, ასეთი რამ არის უკრაინაში, სადაც სამი მართლმადიდებელი ეკლესიაა. ეს ყველაფერი ძალიან სახიფათოა და ამ ყველაფერს ემატება ჩვენი მეგობრების პოზიცია, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ არიან. მე არ შემიძლია არ აღვნიშნო ევროპის სახალხო პარტიის მოწოდება, რომელიც, ფაქტობრივად, ნიშნავდა, მოგიწოდებთ, მერაბიშვილი გამოუშვით ციხიდან და მღვდლები ჩასვით ციხეშიო. აი, ეს იყო მათი მოთხოვნა ფაქტობრივად და ეს არის კეთილისმსურველის მოთხოვნა?! რომ მერაბიშვილი გარეთ იყოს და მის ადგილას მეუფეები, ეპისკოპოსები ისხდნენ?! ალბათ, მალე პატრიარქის დაპატიმრებასაც მოითხოვენ. მალე ისეთ რაღაცებს შეეხებიან, რაზე შეხებასაც ჩვენ წლების განმავლობაში ვერც კი წარმოვიდგენდით. აი, სწორედ ეს არის მთავარი ბრძოლა, თორემ სააკაშვილი რა სისულელეს გააკეთებს, ეს აღარავის აინტერესებს. ნაციონალების დრო უკვე დამთავრებულია, ნაციონალები ვერაფერს ვერ გააკეთებენ, უბრალოდ, ტყავშეცვლილი ნაციონალები, ცხვრის ქურქში გახვეული ნაციონალები, ეცდებიან, რომ რევანში აიღონ. რევანშის აღების მშვენიერი მეთოდია ეკლესიაზე შეტევა, რათა პირველი რამ, რაც ქართული სახელმწიფოებრიობისთვის არის მნიშვნელოვანი, ის გაანადგურონ. შემდგომში კი სხვა რამეებზეც გადავლენ და მერე სხვა პროცესები იქნება.

***— ჩვენ ვიცით, რომ შსს-მ ორ სასულიერო პირს ბრალი წაუყენა. თუკი მათ დააკავებენ, მაშინ რა მოხდება? საუბარია, რომ მთელი საქართველო ფეხზე დადგებაო, ეს ყველაფერი უმართავ პროცესებში ხომ არ გადაიზრდება?***

— რა თქმა უნდა, ესეც ერთგვარი გათვლაა, რომ ქვეყანაში დაიწყოს, უმართავი პროცესები. თუმცა მე არა მგონია, ხელისუფლებამ სასულიერო პირები დააპატიმროს და ამით ესკალაციის გაღვივებას შეუწყოს ხელი. დარწმუნებული ვარ, ასეთ რაღაცას არ გააკეთებენ. არ შეიძლება, მღვდლები დაიჭირო, იმიტომ რომ ასეთი რამ საქართველოს ისტორიაში 1983 წლის მერე არ მომხდარა, როდესაც ედუარდ შევარდნაძემ დაახვრეტინა თვითმფრინავის ბიჭების საქმეზე მღვდელი ჩიხრაძე. მე არა მგონია, რომ ეს ასე მოხდეს. მე ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება არავითარ შემთხვევაში არ იკადრებს იმას, რომ სასულიერო პირები დააპატიმროს. მაგრამ საქმე აბსოლუტურად სხვა რამეშია, სახელმწიფოში უკვე გაისმა მოწოდებები, რომ თეოკრატიაა, რომ მღვდლების მმართველობა უნდა დამთავრდეს და აი ეს ფაქტორია ცუდი, თორემ მე არ ველოდები, რომ სასულიერო პირებს დააპატიმრებენ, ღმერთმა დაიფაროს, რომ ეს მოხდეს, რადგან ეს ნამდვილად არ იქნება კარგი პროცესების დასაწყისი.

კიდევ ერთ პროცესზე მინდა გავამახვილო საზოგადოების ყურადღება. მე მაქვს სამწუხარო ცნობები იმასთან დაკავშირებით, რომ ვირუსივით მოედო მთელ საქართველოს ერთი რამ – ნაციონალები „ქართულ ოცნებას“ ირქმევენ რაიონებში და ცდილობენ „ქართული ოცნების“ ადგილობრივი ორგანიზაციების დაკავებას. ეს არ არის ადვილი პროცესი, რაღაცნაირად მიშვებული პროცესია და ეს აუცილებლად ისეთ შედეგებს გამოიღებს, რომლის გათვალისწინებაც წინასწარვე შეიძლება და რომელიც ნამდვილად არ იქნება კარგი სანახაობა, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა დაინახა ერთი რამ, რომ მერაბიშვილის დაჭერით, ფაქტობრივად, ერთი ნაბიჯილა დარჩა მიხეილ სააკაშვილის პასუხისმგებლობამდე და ეს რეალობაა. მერაბიშვილი არ გახლავთ არც ცოტნე დადიანი და არც ისეთი ვაჟკაცი, რომ ხვალ და ზეგ არ ალაპარაკდეს და, მერაბიშვილი თუ ალაპარაკდა, გარწმუნებთ, რომ ყველა გზა მივა იმ ადამიანამდე, რომელიც ავლაბრის რეზიდენციაში ზის.

***— იმის თქმა გინდათ, რომ მერაბიშვილი გაწირავს სააკაშვილს?***

— თუ სააკაშვილმა მერაბიშვილს არ უშველა და ჩემთვის წარმოუდგენელია, როგორ უნდა უშველოს სააკაშვილმა მერაბიშვილს, რა თქმა უნდა, მერაბიშვილი ისაუბრებს ყველაფერს იმას, რაც იცის. 26 მაისის პასუხისმგებლობას მერაბიშვილი მარტო თავის თავზე არ აიღებს. ის აუცილებლად დაასახელებს, თუ ვინ მისცა მას ბრძანება, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ის მკვლელობები და ჯალათობა ჩაედინა, რაც 26 მაისს მოხდა. 26 მაისი კი ერთი შემადგენელი ნაწილია, იქ არის კიდევ 7 ნოემბერი და ათასი სხვა რამ და ჩვენ კიდევ არ ვიცით, რამდენი შავბნელი საქმეებია. მერაბიშვილი ორი-სამი თვე დაელოდება და, როგორც ახალაიამ თქვა უკვე რაღაცები და ასევე მამამისი აპირებს ალაპარაკებას, ისევე ალაპარაკდება მერაბიშვილი სააკაშვილის წინააღმდეგ. ამიტომაა სააკაშვილი შეშინებული, რომ დარბის წინ და უკან და აღარ იცის, რა გააკეთოს. სხვათა შორის, უკვე იქაც საკმაოდ რთული სიტუაციაა. თქვენ თუ ნახეთ ბოკერიას მეუღლე, ქალბატონი ჩერგოლეიშვილი წუწკს ეძახის სააკაშვილს და ფაქტიურად ღიად აგინებს. აქეთ თეა თუთბერიძეა გახარებული, მერაბიშვილი რომ დაიჭირეს და ვინ ვის დაასახელებს, ღმერთმა იცის. სწორედ ამიტომ სჭირდებათ ამათ ვინმე ისეთი, რაც მათ გადაარჩენთ და აქ მარტო ნაციონალები არ არიან. აქ არიან ნაციონალების პატრონებიც, რომლებიც ამდენი წლის განმავლობაში პატრონობდნენ ნაციონალებს. ნაციონალები ხელისუფლებაში მათი ხელდასმით იყვნენ. ყველაფერზე თვალს ხუჭავდნენ ისინი და ცდილობდნენ იმას, რომ ყველაფერი გაეპრავებინათ ნაციონალური მოძრაობისთვის. აი, ამიტომ არის, რომ ჩვენ ცოტათი რთულად უნდა შევხედოთ ამ პროცესებს და ერთი რამეც არის, რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, უნდა ემსახუროს და დაუჯეროს საკუთარი ხალხის უმრავლესობას, თუ უნდა უგულებელყოს საკუთარი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ინტერესი და ასიამოვნოს უცხო ქვეყნებს და ხელოვნურ კოჰაბიტაციაში შევიდეს კვლავ ნაციონალებთან. აქ დროზე უნდა გაიხსნას კვანძი, თორემ შეიძლება ეს სხვა რამეში გადაიზარდოს, თუმცა მე არ გამოვრიცხავ და პირდაპირ ვადასტურებ, რომ დიდი შანსია, მერაბიშვილმა, რომელიც კურდღელივითაა ახლა შეშინებული, დაასახელოს სააკაშვილი და პირდაპირ მოყვეს, თუ რა საშინელებები აქვს უშუალოდ სააკაშვილს ჩადენილი.

# რუსუდან შარაძე: „პრეზიდენტის გასამართლებას ველოდები“

გულიკო ბალაძე

**სასამართლო პროცესზე, რომელიც მიმდინარეობს გურამ შარაძის მკვლელობაში მსჯავრდებულ ბარათელისთვის ახალი ბრალის დასამტკიცებლად, პროკურორმა კვლავ დრო ითხოვა. დაცვის მხარე კი ბრალის მოხსნას ელოდა.**

ამ პროცესზე გურამ შარაძის შვილმა რუსუდან შარაძემ ბარათელი პირველად ნახა მას შემდეგ, რაც მას ამ საქმეში ბრალი დაედო. ბარათელმა ჰკითხა მოსამართლეს და პროკურორს, საკითხავია, რატომ ვარ აქ და, საერთოდ, რატომ ვარ პატიმრობაშიო. რუსდან შარაძეს იმედი აქვს, რომ გურამ შარაძის მკვლელობის საქმე გამოძიებული იქნება, პროკურორი ჩივიაშვილს კი, რომელიც ამ საქმის პროკურორი გახლდათ (ახლა მერაბიშვილის ადვოკატია) მერაბიშვილის ბედი ელის.

***— ქალბატონო რუსუდან, თქვენ ესწრებოდით გურამ შარაძის მკვლელობაში მსჯავრდებულის ახალი ბრალდების განხილვას სასამართლოში. რაც შეეხება ძირითად ბრალდებას, გურამ შარაძის მკვლელობას, ახალი გარემოებები ხომ იყო, რომ საქმის ხელახალი გამოძიება დაწყებულიყო?***

— ახლად აღმოჩენილი გარემოებები არის. მტკიცებულება უამრავია, რომელიც მივაწოდეთ პროკურატურას პირადად მე, ჩემმა ადვოკატმა და ბარათელის ადვოკატმა. ამ ზამთარში მპასუხობდნენ, რომ კანონმდებლობა არ იძლეოდა ყველაფრის საშუალებას, სანამ კანონმდებლობა შეიცვლება, იქამდე შეიქმნება კომისია, რომელიც ასეთ საქმეებს შეისწავლისო. სწორედ ახლაა საუბარი იმ კომისიის შექმნაზე, რომლის შექმნასაც მპირდებოდნენ.

***— საქმის კომისიაში განხილვამდე, ახლად აღმოჩენილ გარემოებასთან დაკავშირებით ხომ შეეძლოთ საქმის გამოძიება განეახლებინათ? უფლება არ აქვთ, რომ განაახლონ ძიება?***

— წესით უფლება უნდა ჰქონდეთ, მაგრამ არჩილ კბილაშვილი ჯერ ამბობდა, შემოიტანეთ განცხადება ახალი გარემოებებით, მოწმეთა ჩვენებებითო. მტკიცებულებები რომ შევიტანეთ, მერე მითხრეს, კომისიას შევქმნითო. კომისიას ველოდებოდი დღემდე. დღეს მართლა შეიქმნა ეს კომისია. თუმცა, დღეს ვერც ვიტყვი, რომ კმაყოფილი ვარ და ვერც ვიტყვი, რომ უკმაყოფილო ვარ ამ ყველაფრით იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში არანორმალური მდგომარეობაა. სააკაშვილს მართალია ფორმალურად მიტაცებული აქვს ეს პოსტი, მაგრამ ხომ ითვლება ის პრეზიდენტად. ქვეყანაში არის არანორმალური პრეზიდენტი, არანორმალური გარემოცვით. რასაც სააკაშვილი და მისი ე.წ. უმცირესობა ჩადის, არანაირ მორალურ, სამართლებრივ ჩარჩოში არ ჯდება. ამიტომ ამ სიტუაციიდან გამომდინარე, ვცდილობ, კიდევ თავი შევიკავო. ვცდილობ, რამენაირად მოვითმინო შემოდგომამდე, მაგრამ არც ერთი დღის დაკარგვა არ შეიძლება. ჩემი მოთმინება შემოდგომამდე არ ნიშნავს იმას, რომ მე და ჩვენი ადვოკატები ხელებდაკრეფილი ვიქნებით. არავითარ შემთხვევაში. საბოლოო შედეგს – პრეზიდენტის გასამართლებას ველოდები, როდესაც ის მიტაცებულ პოსტს დატოვებს. იქამდე საქმე წინ უნდა წავიდეს. ზამთარში შევხვდი მაია მწარიაშვილს. მაშინ ის პროკურატურის საგამოძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელი იყო. პარალელურად შევხვდი ქალაქის მაშინდელი პროკურორის მოადგილეს, იმედაშვილს. შევხვდი ასევე მთავარი პროკურორის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილს. ამ სამ პიროვნებას ნდობას ვუცხადებ და ველოდები, რა იქნება. ველოდები შემოდგომას. შემოდგომაზე, როდესაც მიტაცებული პოსტიდან წაბრძანდება სააკაშვილი, თუ დავინახე, რომ რაღაც კიდევ ისე არ ხდება, როგორც უნდა ხდებოდეს, მაშინ მართლა სხვანაირად მოვიქცევი, მაგრამ რას ვიზამ, არ ვიცი.

***— თქვენ ჩამოთვალეთ თანამდებობის პირები, რომლებსაც შეხვდით. მათ იმედი მოგცეს, რომ გურამ შარაძის მკვლელობის საქმე, რეალურად, იქნება გამოძიებული?***

— მხოლოდ იმედი კი არ მომცეს, დამოკიდებულება იყო ნორმალური. ჩვენ საუბარში აშკარად გამოჩნდა, რომ საქმეს ზედმიწევნით იცნობენ. თუმცა, ოფიციალური გამოძიება არ დაწყებულა.

***— თუკი ამ საქმის გამოძიება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, არ უნდა განახლდეს და უნდა განიხილოს ის კომისიამ, რომელიც ამგვარი საქმეების შესასწავლად იქმნება, მაშინ ეს თანამდებობის პირები რას გპირდებიან?***

— მე თქვენ ვერ მოგიყვებით ჩვენი საუბრის შინაარსს. მე ამ ხალხის მჯერა, მთავარი პროკურორისაგან განსხვავებით. იმიტომ კი არა, რომ „მოგზავნილი“ მგონია, არამედ მთავარი პროკურორის პოსტზე შესაფერისი კანდიდატურა არ მგონია.

***— ეს პიროვნებები იქნებიან კომისიაში თუ შეიძლება კომისიამ ეს საქმე შეიძლება კვლავ გამოძიებაში დააბრუნოს?***



— არა მგონია, მთავარი პროკურორის მოადგილე და ქალაქის პროკურორი კომისიაში იყვნენ.

***— შეიძლება კომისიამ ეს საქმე კვლავ დააბრუნოს გამოსაძიებლად?***

— დიახ. თუმცა, მხოლოდ ჩვენს ოჯახზე კი არ არის საუბარი, არამედ უამრავი დახოცილი ადამიანია სააკაშვილის რეჟიმის მიერ. დახოცვაც არ აკმარეს, ამ საქმეებზე გამოძიება რომ დაიწყო, მოხდა გაყალბება და ჩაიდინეს ათასი უბედურება. მარტო მე ხომ არ ვარ, მხოლოდ ქუჩაში 170 ახალგაზრდაა ჩაცხრილული. ყველა ეს საქმე ხელახლაა გამოსაძიებელი. მარტო მამაჩემის საქმე რომ იყოს ჰაერში გამოკიდებული და სხვა საქმეებს სწავლობდნენ, ეს რაღაცის მაჩვენებელი იქნებოდა. ყველა საქმე – ზურაბ ჟვანიას, ვაზაგაშვილის, რობაქიძის, გამცემლიძის ერთნაირადაა გამოსაძიებელი. ადამიანები ველოდებით კომისიის ამუშავებას. თუ რამე გვაკავებს, ბატონ ბიძინა ივანიშვილის პატივისცემა, ნდობა და მადლიერების გრძნობაა. ზოგადად რომ ვთქვა, რაღაცით კმაყოფილი ვარ, რაღაცით უკმაყოფილო, მაგრამ იმ სიტუაციიდან გამომდინარე, რაც ხდება დღეს საქართველოში, საჭიროა ცოტა მოთმინება, სანამ დალაგდება სიტუაცია, სანამ მიტაცებულ თანამდებობებს ყველანი დატოვებდნენ. მე ვენდობი ახალ ხელისუფლებას და მჯერა მისი. ახალი ხელისუფლებაც ჭრელია, მაგრამ მთლიანობაში იმედი მაქვს. რაც ყველაზე მთავარია, ვენდობი ბიძინა ივანიშვილს, რომ სამართლიანობა აღდგება და ყველა საკადრის პასუხს მიიღებს კანონიერი და სამართლებრივი გზით, არავითარ შემთხვევაში სხვანაირად.

***— მე რაც გკითხეთ, ალბათ, ეს უფრო პროცედურული საკითხებია, მაგრამ მთავარია, რომ ნება არსებობს.***

— ნება როგორ არ არსებობს. ირაკლი ოქრუაშვილის მძღოლის გიორგი ჩიხლაძის ადვოკატი ედიშერ ქარჩავა შემხვდა ამას წინათ და მითხრა, ხმებს ავრცელებენ, რომ კბილაშვილთან შეხვედრა გინდა და ის არ გიღებსო. თავში აზრადაც არ მომსვლია კბილაშვილთან შეხვედრა. ვისი ნახვაც მინდოდა, ყველას შევხვდი და ვარ ძალიან იმედიანად. ამ ხალხის პროფესიონალიზმი და დამოკიდებულება დავინახე მამაჩემის მიმართ, მისი პიროვნების მიმართ, მისი მკვლელობის მიმართ. ჯერჯერობით, ასე ვარ, მაგრამ თუ დავინახე, რომ არაფერი კეთდება, წინ ვერავინ და ვერაფერი დამიდგება. კბილაშვილს კი არ ვენდობი. იმიტომ კი არა, რომ ცუდი კაცია, პირიქით, ამბობენ, რომ არაჩვეულებრივი ადამიანია, არაჩვეულებრივი ადვოკატია, მაგრამ მთავარ პროკურორად არ მომწონს. არც მისი განცხადებები მომწონს და არც მისი დამოკიდებულება. არა მარტო ჩვენ მიმართ, საერთოდ.

***— ერთ მხარეს არის საგამოძიებო სტრუქტურები და მეორე მხარეს კი – ბარათელი, რომელმაც, შეიქმნა თუ არა საამისო სიტუაცია, განაცხადა, რომ ის არ არის მკვლელი. ალბათ, ესეც გაძლევთ იმედს?***

— პირველი დღიდან მაგას ვამბობ, რომ ეს კაცი არაფერ შუაშია. ამაზე მეტყველებდა მისი საქციელიც. მაისიდან ნოემბრამდე დუმილის უფლებას ინარჩუნებდა. მისი აღიარებითი ჩვენებები იყო მანიშნებელი, რადგან ის ამბობდა, კი ბატონო, გავაკეთე ეს რუსთაველზე. მერე თქვა, უნივერსიტეტთანო, მერე თქვა, სადღაც სხვაგანო. სრულიად არაადეკვატური ჩვენებებს იძლეოდა. ალბათ, ამით ცდილობდა, მიენიშნებინა ყველასთვის, რომ მკვლელობა მას არ ჩაუდენია. მე ეს ისედაც ვიცოდი და მთელი ამ წლების განმავლობაში მტკიცებულებებით გამყარდა. ბარათელი სასამართლო პროცესზე ვნახე. ვარ უბედნიერესი, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლე კოპალიანი და პროკურორი ჯალიაშვილი ისევ და ისევ სააკაშვილის ყურმოჭრილი მონები არიან. არ ვიცი, რისი ეშინიათ? ალბათ, სააკაშვილს მათ შესახებ რაღაც კომპრომატები – რაღაც უბედურებების ვიდეოები აქვს. სხვა შემთხვევაში, წარმოუდგენელია ისე იქცეოდნენ პროკურორი და მოსამართლე, როგორც იქცევა პროკურორი ჯალიაშვილი და მოსამართლე კოპალიანი. ჩემი ღრმა რწმენით, ალბათ, კომპრომატების ეშინიათ. რა კომპრომატები აქვს სააკაშვილს მოგროვებული, ყველამ კარგად ვიცით და რაღაც ნაწილი ვნახეთ კიდეც. სხვა შემთხვევაში სააკაშვილის როგორ უნდა ეშინოდეს ვინმეს? პროკურორ ჯალიაშვილსა და მოსამართლე კოპალიანს უკანონო განაჩენების გამო გასამართლება და ციხე ელოდებათ და მაინც სააკაშვილს ემსახურებიან, რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ? ბარათელს რამდენს დაუმატებენ 31 მაისს, არ აქვს მნიშვნელობა. თუნდაც 50 წელი დაუმატონ. 6 წელია ტყუილად ზის, კიდევ 21 წელი აქვს დარჩენილი. ბარათელი კიდევ 21 წელი თუ ციხეში დარჩა, მე ცოცხალი აღარ ვიქნები, ხოლო საქართველოში, ვინ იცის რა იქნება.

***— ამნისტია არანაირად არ შეხებია?***

— არა. მისი საქმე „გამოძიებულია“, განაჩენი დამდგარია და თავიდან უნდა დაიწყოს გამოძიება.

***— შეიძლება სააკაშვილს კომპრომატების ცალკე არქივი ჰქონდეს?***

— რა თქმა უნდა, ექნება. მით უმეტეს, რომ დღევანდელი ტექნიკის პირობებში, როცა ყოველგვარი სპეციალური კომპიუტერული ცოდნის გარეშე, ადამიანს წამში შეუძლია მილიონი ასლი დაამზადოს. მათ ყველაფერი ექნებათ შემონახული. ვის რა ჩაუდენია პირად ცხოვრებაში და ვის რა უბედურება სჭირს, თვითონ თავის გულში ხომ იციან კოპალიანმა და ჯალიაშვილმა? მე მათ ვეუბნები, 31 მაისს გამოიტანონ წესიერი განაჩენი, თორემ რიგში არიან. ვანო მერაბიშვილი ზის ციხეში, ხოლო ეგენი რიგში არიან. ვინ არიან კოპალიანი და ჯალიაშვილი, რომ აპატიონ? ჰგონიათ, შერჩებათ? არავის არაფერი არ შერჩება. ჩემნაირი გამწარებული ადამიანი უამრავია. ზუსტად მათი ხელით ხდებოდა ჩვენი გამწარება. სააკაშვილი ხოცავდა, ხოლო შემდეგ ეგენი მისი საქციელის ლეგიტიმაციას ახდენდნენ. მაგათ რა ჰგონიათ, შერჩებათ და წყნარად გააგრძელებენ ცხოვრებასა და საქმიანობას სასამართლოში ან პროკურატურაში? არავითარ შემთხვევაში.

***— თქვენ ბარათელისთვის ახალი ბრალის მოხსნას ელოდებით?***

— ბრალის მოხსნას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. საუბარია დამოკიდებულებაზე. ბარათელის მიმართ ყველაფერი შეთითხნილია, რომ მასზე მოხდეს მორალური და ფსიქოლოგიური ზეწოლა. აქამდე შენარჩუნებული, ძლივს მოტანილი სიცოცხლეა დასაცავი. ამისთვისაა დაგეგმილი მისი ხელახლა დადანაშაულება, რომ მორალურად გატეხონ და რაღაც დამართონ. ბოლო პროცესს „იმედის“ კამერა იღებდა უწყვეტად. ამიტომ ძალიან შეშინდა პროკურორი ჯალიაშვლი. სიტყვიერად იყო მომზადებული და გადაწყვიტა შემდეგი პროცესისთვის დაწეროს და ისე წარმოადგინოს ბრალდება. მოსამართლე აჩერებდა ბარათელს, რომელიც მამაჩემის მკვლელობაზე ალაპარაკდა. კოპალიანს რა ჰგონია, ბოლო სიტყვაში არ იტყვის ბარათელი, რაც უნდა თქვას? ჰგონიათ, რომ „იმედის“ კამერა იქ არ იქნება? ვერაფერს ვერ მიაღწევენ იმიტომ, რომ გისოსებსა და გალიებში თვითონ აღმოჩნდებიან. პროკურორი გიორგი ჩივიაშვილი, რომელმაც ბარათელი ჩააგდო ციხეში, დღეს ვანო მერაბიშვილის ადვოკატია. ჩივიაშვილი ისედაც გაშიფრული იყო და ახლა მთლად გაიშიფრა. მამაჩემის მკვლელობის შემდეგ, როცა ბარათელს მიუსაჯეს, ამ საქმის პროკურორი ჩივიაშვილი კახეთის პროკურორად დააწინაურეს. ახლა კი მერაბიშვილის ადვოკატად მოგვევლინა. ჩივიაშილი თუ არ მიუჯდება ვანო მერაბიშვილს, ნახავთ.

# რატომ დაიხურა ზესტაფონის აგრარული ბაზარი?

მერი ნამორაძე

**სურსათის ეროვნული სააგენტოს ვერდიქტს ზესტაფონის აგრარული ბაზრის „ეკომეტალის" დახურვა და, რა თქმა უნდა, მოვაჭრეთა უკმაყოფილება მოჰყვა. სამუშაო ადგილების დაკარგვის შიშით ზესტაფონელებმა პრემიერ-მინისტრის ბიზნეს-ცენტრის მიდამოებიც კი „დალაშქრეს" და დახმარება ივანიშვილს სთხოვეს. მოვაჭრეები აცხადებენ, რომ პრობლემა ხელოვნურად არის შექმნილი, რათა ბაზარი დაიხუროს.**

სურსათის ეროვნული სააგენტო კი აგრძელებს მონიტორინგს აგრარულ ბაზრებში და გეგმური ინსპექტირებით ზესტაფონის აგრარულ ბაზარსაც მიადგა, რომელსაც 15-მდე კრიტიკული შეუსაბამობის გამო საწარმოო პროცესი შეუჩერდა და 1000 ლარით დაჯარიმდა.

ინსპექტირების შედეგად აღმოჩნდა, რომ შპს „ეკომეტალის“ გარე ტერიტორია გადაქცეულია ნაგავსაყრელად. შენობა არ არის დაცული დამაბინძურებლების – მაწანწალა ცხოველების, ჩიტების, მწერებისა და მღრღნელების შეღწევისგან; არ ტარდება სადერატიზაციო და სადეზინფექციო სამუშაოები; სურსათი არ არის დაცული მიკროორგანიზმების ზრდა-განვითარებისაგან, პარაზიტების გამრავლებისა და ტოქსინების წარმოქმნისაგან; დასალაგებელი ინვენტარი, სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებები საწარმოო ტერიტორიაზე საერთოდ არ არსებობს. საქართველოს კანონმდებლობით, კრიტიკულია შეუსაბამობა, როდესაც არსებობს რეალური რისკი, რომ სურსათი მავნებელი იყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის, ამიტომ სააგენ-



ტოს გადაწყვეტილებით, ბიზნესოპერატორს უჩერდება საწარმოო პროცესი, ხოლო მათი გამოსწორების შემდეგ ხელახალი ინსპექტირებისას, შესაძლებელია ისევ მიეცეს მუშაობის უფლება.

მოვაჭრეები კი ამბობენ, რომ განზრახ მოხდა დამლაგებელთა გათავისუფლება ბაზრიდან, რათა ანტისანიტარია შექმნილიყო და ბაზრის დახურვის საბაბი გაჩენილიყო. ზესტაფონელები ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის ნგრევასაც აპროტესტებდნენ და ნგრევის პროცესის შეჩერებას მოითხოვდნენ. როგორც აქციის მონაწილეები ამბობენ, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის ნგრევა ფერომანგანუმის მოპოვების მიზნით ხორციელდება. მათი თქმით, ეს კი ფაქტობრივად სამსახურიდან გათავისუფლებას ნიშნავს, რადგან აღნიშნული პროცესი ხელს უშლის ბაზრის მეპატრონეებსა და ინდმეწარმეებს მუშაობაში. მოვაჭრეთა მტკიცებით, თუ ასე გაგრძელდა, მაღაზიები სრულ იზოლაციაში მოექცევა.

სურსათის ეროვნული სააგენტო კი აგრძელებს სამომხმარებლო ბაზრის მონიტორინგს. ამ ეტაპისთვის ინსპექტირება ჩაუტარდა 585 ბიზნესოპერატორს; სხვადასხვა დარღვევებზე დაჯარიმდა 109 მათგანი; განადგურდა 562693 კგ საკვებად უვარგისი მყარი და თხევადი სურსათი. რეალიზაციიდან ამოღებულია 228405 ცალი ვადაგასული კვერცხი; 2 491 ტ დაავადებული კარტოფილი გაბრუნდა იმპორტიორ ქვეყანაში, ხოლო 25 ტ კარტოფილის კიბოთი დაავადებული კარტოფილი განადგურდა.

ეკა ირემაშვილი

# რამდენი ექსპონატია დაკარგული ეროვნული მუზეუმიდან?




„ახალი თაობა“ უკვე წერდა იმ დარღვევების შესახებ, რომელიც სახელმწიფო აუდიტმა ეროვნულ მუზეუმთან დაკავშირებით გამოაქვეყნა. ამჯერად, ჩვენი მკითხველის ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ ექსპონატებზე, რომლებიც ეროვნული მუზეუმიდან დაკარგულია.

სახელმწიფო აუდიტმა დადო ოფიციალური დასკვნა, რომელშიც საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ეროვნულ მუზეუმში დაცული ექსპონატების ამჟამინდელ ადგილმდებარეობას. როგორც სახელმწიფო აუდიტის მიერ გაკეთებულ დასკვნაშია აღნიშნული, საკმაოდ ბევრი ექსპონატი ეროვნული მუზეუმიდან გატანილია და ისინი უკან აღარ არის დაბრუნებული, ან მათი ადგილსამყოფელი საერთოდ უცნობია. ის ექსპონატები კი, რომლებიც ფონდსაცავებშია განთავსებული, უმეტესად არასათანადო ადგილას და არასათანადო პირობებში ინახება.

„ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ სახელმწიფო აუდიტის დასკვნას ეროვნულ მუზეუმთან დაკავშირებით, თუმცა იმდენად დიდია დაკარგულ ექსპონატთა ჩამონათვალი, რომ იძულებულები ვართ ეს ჩამონათვალი რამდენიმე ნაწილად გაზეთის სხვადასხვა ნომრებში შემოგთავაზოთ.

ოფიციალურ დოკუმენტში წერია, რომ ეროვნული მუზეუმების ექსპონატების დაცვა-აღრიცხვისა და დროებით გადაცემის საკითხებში არსებული დარღვევა-ნაკლოვანებები და მაღალი რისკის შემცველი გარემოებებია გამოკვეთილი.

ეროვნული მუზეუმის სტრუქტურული ერთეულები განთავსებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მას ჩაბარებული აქვს ქვეყნის მნიშვნელოვანი როგორც მატერიალური, ისე ისტორიული ფასეულობები. საქართველოს კანონით „მუზეუმების შესახებ“ ეროვნული მუზეუმის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა უზრუნველყოს სამუზეუმო ექსპონატების ყოველმხრივი დაცვა, სამუზეუმო ფონდის აღრიცხვა და სისტემატიზაცია, სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოება და ა.შ. იმის გამო, რომ ამავე კანონით, სამუზეუმო ექსპონატები ბუღალტრულ აღრიცხვას არ ექვემდებარება, მათი დაცვა-აღრიცხვის საკითხი მნიშვნელოვანი რისკების მატარებელია. მიმდინარე აუდიტით სამ მუზეუმში, კერძოდ, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში, (შემდგომში „ჯანაშიას მუზეუმი“), შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში (შემდგომში „ხელოვნების მუზეუმი“) და საქართველოს ეროვნულ გალერეაში (შემდგომში „გალერეა“) განხორციელდა არსებული ფონდების დაცვა-აღრიცხვის მდგომარეობის შერჩევითი შემოწმება. ამასთან, გაანალიზდა სხვა მუზეუმებიდან წარმოდგენილი ოფიციალური ცნობები. შედეგად ამ სფეროში გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები და მნიშვნელოვანი რისკები, რაც ძირითადად ათწლეულების მანძილზე მოქმედი სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა სისტემატური შეუსრულებლობითაა გამოწვეული, თუმცა გარკვეულ უარყოფით გავლენას დაუხვეწავი ნორმატიული აქტები და არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც ახდენს.

წარმოდგენილი ცნობის მიხედვით, სულ მუზეუმში დაცულია 137 ფონდი, ხოლო ექსპონატების საერთო რაოდენობა 2 მილიონს აღწევს.

„მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „სამუზეუმო ექსპონატი უნდა ინახებოდეს და გამოიფინებოდეს სათანადოდ აღჭურვილ შენობაში, სამუზეუმო საცავში ტემპერატურის, ტენიანობის თუ სხვა აუცილებელი რეჟიმის დაცვით“. რეალურად ასეთი პირობები კი მხოლოდ რამდენიმე შენობაშია, ისიც ნაწილობრივ, მაგალითად, ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, საქართველოს ეროვნული გალერეა, სხვა მუზეუმებში კი სამუზეუმო ექსპონატების შენახვის არასათანადო პირობებია. მაგალითად, გიორგი ჩიტაიას სახელობის ქართული ყოფისა და ხუროთმოძღვრების ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდსაცავს ელექტროენერგიაც კი არ მიეწოდება.

გალერეის ფერწერის ფონდსაცავში არ არის ფარდები, სიგნალიზაცია, გათბობისა და ვენტილაციის სისტემა და ა.შ. მტვერი არ იწმინდება რეგულარულად, იატაკი ქვიშა-ცემენტის ხსნარითაა დაგებული და პრაქტიკულად შეუძლებელია იქ მტვრის მოსპობა.

ე.წ. „ქარვასლის“ რამდენიმე ფონდსაცავი სხვენშია განთავსებული, ხოლო გალერეის ქანდაკებების ფონდსაცავი შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სარდაფში, სადაც სრულიად შეუსაბამო პირობებია ექსპონატების შესანახად. შესაბამისი ინსტრუქციის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კი „აკრძალულია სხვენისა და სარდაფის ფართის ფონდსაცავებად გამოყენება“.

ამავე კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მუზეუმის ძირითადი სააღრიცხვო დოკუმენტებია: ძირითად შემოსულობათა საინვენტარო წიგნი; მუზეუმის საინვენტარო წიგნი, სამეცნიერო-დამხმარე წიგნი, დროებით შემოსულობათა საინვენტარო წიგნი და ა.შ. წარმოდგენილი ინფორმაციით, დროებით შემოსულობათა საინვენტარო წიგნი მხოლოდ ხელოვნების მუზეუმს, გიორგი ჩიტაიას სახელობის ქართული ყოფისა და ხუროთმოძღვრების ეთნოგრაფიულ მუზეუმს და ქარვასლას აქვს გახსნილი. რამდენიმე ფონდი, მაგალითად, შუა საუკუნეების არქეოლოგიური კოლექციების ფონდებში არ არის ძვირფასეულობის შემცველი სამუზეუმო ექსპონატების აღრიცხვის სპეციალური წიგნები და ამ სპეციფიკური ექსპონატების აღრიცხვა მუზეუმის ჩვეულებრივ საინვენტარო წიგნში ხორციელდება.

ამავე კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, „სამუზეუმო ნივთის დასახასიათებლად განსაკუთრებით სრულყოფილ დოკუმენტად ითვლება საინვენტარო წიგნი, სადაც მოცემულია მასალის ვრცელი აღწერილობა, კლასიფიკაცია და შესწავლის შედეგები“, ჯანაშიას მუზეუმის ეთნოგრაფიული კოლექციის იარაღის ფონდში კი ინახება მხოლოდ ერთი საინვენტარო წიგნი, რომელიც მოიცავს 1935 წლამდე შემოტანილ ექსპონატებს. ამის შემდეგ აღნიშნულ ფონდში საინვენტარო წიგნი აღარ წარმოებს. ამავე კოლექციის რკინისა და ტყავის ფონდებში საინვენტარო წიგნებს საერთოდ არ აწარმოებენ, ამიტომ ამ ფონდებში ინვენტარიზაცია-შეჯერება ხორციელდება ან წინა ინვენტარიზაციის მასალებთან, ან ცენტრალურ შემოსულობათა წიგნებთან და გადაცემის აქტებთან შედარების გზით, რაც არასაიმედო, ძალიან შრომატევადი და დროში გაწელილი პროცესია და სასწრაფოდ საჭიროებს გამოსწორებას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზოგ შემთხვევაში საინვენტარო წიგნებში მოცემული მასალის აღწერილობა არასაკმარისად ვრცელი და ამომწურავია. მაგალითად, ეთნოგრაფიული კოლექციის ძვირფასი ლითონების ფონდში საინვენტარო ნომრით 92-1911/8-ა რეგისტრირებულია „ქამარი ვერცხლის მონეტებით“, თუმცა არ არის მითითებული ის გარემოება, რომ ეს მონეტები 60 ერთეულზე მეტია, რაც არამართებულია. ანალოგიური მდგომარეობაა ზოგიერთ სხვა ექსპონატთან დაკავშირებითაც.

ამავე კანონის მე-15 მუხლის მე-10, მე-11 და მე-12 პუნქტების მიხედვით „მუზეუმის საინვენტარო წიგნი, როგორც იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, შევსებამდე უნდა დაინომროს, გაეყაროს ზონარი და დაილუქოს“. „საინვენტარო წიგნში ჩაწერას წინ უძღვის საინვენტარო ბარათის შედგენა, რომლის გრაფები უნდა ემთხვეოდეს საინვენტარო წიგნის გრაფებს“, ხოლო „საინვენტარო ბარათს ავსებს შესაბამისი განყოფილების თანამშრომელი“. რეალურად რამდენიმე საინვენტარო წიგნი არ არის დალუქული, მაგალითად, ჯანაშიას მუზეუმის „კახეთის“ ფონდის (ნეკრესის), ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიური კოლექციების აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს, უფლისციხისა და საირმეს ფონდების რამდენიმე საინვენტარო წიგნი, ხშირ შემთხვევაში არ წარმოებს საინვენტარო ბარათები.

„საქართველოს სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და დაცვის შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 ივლისის №3/121 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-7 და მე-9 პუნქტების მიხედვით სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვა-დაცვა ხორციელდება სამუზეუმო ფონდი მცველთა (ამჟამად „კურატორები“) მიერ, ხოლო მცველის განთავისუფლების ან სხვა სამუშაოზე გადასვლის შემთხვევაში, დირექცია ვალდებულია შექმნას კომისია და უზრუნველყოს ფონდების გადაბარება სხვა მუშაკისთვის. ამასთან, „მცველს შესაბამისი აქტით ეკისრება ფონდზე მატერიალური პასუხისმგებლობა, სადაც მითითებული იქნება ჩაბარების მომენტში მათი დაცულობა“. ანალოგიური მოთხოვნებია დაფიქსირებული 1968 წლიდან მოქმედ ინსტრუქციაშიც. მიუხედავად ამ ინსტრუქციების იმპერატიული მოთხოვნისა, დღევანდელი მდგომარეობით, 74 ფონდი შესაბამისი აქტით არ არის გადაბარებული, თუმცა მათი მცველები ოფიციალურად არიან დანიშნულნი და ისე ახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებას. ამავე ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით „მცველი უზრუნველყოფს ფონდის დროულ ინვენტარიზაციას“, თუმცა არ არის დაკონკრეტებული, რა ვადებში უნდა ჩატარდეს ფონდების აღრიცხვა-შეჯერება. არ არსებობს კონკრეტული ინსტრუქცია სამუზეუმო ფასეულობათა ინვენტარიზაცია-შეჯერების შესახებ, რის გამოც ეს პროცესი მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება.

როგორც გაირკვა, წლების (ათწლეულობით) მანძილზე არ ტარდებოდა მუზეუმებში დაცული ექსპონატებისა და კოლექციების ინვენტარიზაცია და შედეგების გამოყვანა ანუ „შეჯერება“. ფაქტობრივად, ჯერ კიდევ არსებობს შეუჯერებელი, მოუწესრიგებელი, პასუხისმგებელ პირებზე გადაუბარებელი და ზოგჯერ განადგურების ზღვარზე მყოფი ფონდები. 1960-2007 წლებში ინვენტარიზაცია ჩატარებულია 96 ფონდში, საიდანაც შეჯერებულია (შესაბამის საინვენტარო წიგნებთან მათი შედარება) 88 ფონდი და დანაკლისად დაფიქსირდა 866 ერთეული. 2007-2012 წლებში ინვენტარიზაცია ჩატარებულია 97 ფონდში, საიდანაც შეჯერებულია მხოლოდ 25. ოპერატიული ინფორმაციით ვერ მოიძებნა 274 ექსპონატი. ამრიგად, 1966 წლის შემდეგ, მუზეუმის ფონდების სრულყოფილი აღწერა არ მომხდარა. მეტიც, ათწლეულების განმავლობაში ფონდების სხვა მცველებზე გადაბარება ძირითადად წინა მცველის გარდაცვალების ან პენსიაში გასვლის გამო ხდებოდა, ისე, რომ არ ტარდებოდა ფონდების გადაბარების პროცედურა, ანუ ახალ მცველს ბარდებოდა საფონდო საცავის გასაღები და ლუქი და არა შეჯერებული ფონდი. შესაბამისად, არ ფორმდებოდა მიღება-ჩაბარების აქტები. აღსანიშნავია, რომ 11 შემთხვევაში შესაბამისი ფონდის ახალ მცველზე გადაბარების აუცილებლობა შეიქმნა ძველი მცველის გარდაცვალების გამო, ასეთ დროს კი ინვენტარიზაცია აუცილებელია. მიუხედავად ამისა, 7 შემთხვევაში, ინვენტარიზაცია და შეჯერება არ ჩატარებულა და ახალ მცველს შესაბამისი აქტით არ დაკისრებია ამ ფონდზე მატერიალური პასუხისმგებლობა და ეს პროცესი თანდათანობით მიმდინარეობს. მაგალითად, ხელოვნების მუზეუმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფონდია არქეოლოგიური კოლექციების საგანძურის ფონდი, სადაც თავმოყრილია წინარე ანტიკური, ანტიკური, ანტიკურ-ელინისტური და ფეოდალური ხანის ოქრომჭედლობის, ტორევტიკის, საიუველირო მხატვრული ხელოსნობის, ტიხრული, ტვიფრული და ფერწერული მინანქრის, იარაღ-საჭურვლის, ნუმიზმატიკის, გამოყენებითი ხელოვნების, ქართველ მეფეთა ინსიგნიებისა და სფრაგისტიკის დიდი კოლექციები. ამ ექსპონატთა საერთო რაოდენობა 10 ათასს აღემატება, რომელთა დიდი ნაწილი თავისი მხატვრული და ისტორიული ღირებულებით ფასდაუდებელ შენაძენს წარმოადგენს ასევე მსოფლიო კულტურისათვის. აღნიშნულ ფონდში 1962 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციით გამოვლინდა 40 ერთეულის დანაკლისი. მას შემდეგ საგანძურის სრული, ოფიციალური ინვენტარიზაცია-შეჯერება აღარ ჩატარებულა, თუმცა არსებობს საგანძურის განყოფილების იმდროინდელი გამგის გ. აბრამიშვილის 1979 წლის 25 ოქტომბრის ინფორმაცია, რომელსაც ამტკიცებს მუზეუმის დირექტორი, სადაც მითითებულია, რომ 1977-79 წლებში ჩატარდა განყოფილების საფონდო მასალისა და ექსპოზიციის მთლიანი შეჯერება. შედეგად გამოვლინდა მხოლოდ იმ ექსპონატების დანაკლისი, რომლებიც 1962 წლის შეჯერების დროსაც არ აღმოჩნდა ადგილზე. აქვე დაფიქსირებულია ის გარემოება, რომ ბექა და ბეშქენ ოპიზრების მიერ შეჭედილი სახარების ოქროს ყდები ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში, ასე რომ, მათ გადაცემაზე შესაბამისი დოკუმენტი არ არსებობს. აუდიტის ჯგუფის აზრით, მუზეუმის ხელმძღვანელობა უნდა დაინტერესდეს ამ და მსგავსი გარემოებებით და თუ არსებობს ამის სამართლებრივი საფუძველი ოფიციალურად გააფორმონ ამ ექსპონატის გადაცემა, რის შემდეგაც ისინი უნდა ამორიცხონ საინვენტარო წიგნიდან, რათა ყოველ შეჯერებაზე არ ფიქსირდებოდეს დანაკლისად.

აღსანიშნავია, რომ საგანძურის განყოფილების მაშინდელი გამგის და ფონდის მცველის გ. აბრამიშვილის გარდაცვალების გამო, 1992 წლიდან ფონდის მცველად მუშაობს ე. კავლელიშვილი, რომელსაც საგანძური ოფიციალურად არ ჩაბარებია, თუმცა მისივე განმარტებით, ფონდში 1976-94 წლებში მიმდინარეობდა ხელახალი აღწერა-შეჯერება, რასაც თვითონაც ესწრებოდა. ამავე დროს ხდებოდა ძველი დავთრების გადაწერა და ნივთების აღწერილობის დაზუსტება. შედეგად გაკეთდა 18 ახალი დავთარი, თუმცა ეს პროცესი არ დასრულებულა და ხელშეწყობის პირობებში დაახლოებით 16-18 თვე არის საჭირო ამ პროცესის დასამთავრებლად და ექსპონატების ისეთნაირად განსათავსებლად, რომ მარტივად შეიძლებოდეს მათი მოძებნა. დღეის მდგომარეობით, ამ ფონდში დაცული 10 ათასზე მეტი ექსპონატიდან შერჩევითი შემოწმების მიზნით რომელიმე კონკრეტულის მოსაძებნად დიდი დროა საჭირო, რაც გარკვეული რისკის შემცველია.

ამავე მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების კოლექციის ფერწერის ფონდის მცველის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის გამო, 1993 წლიდან ამ პოზიციაზე დაინიშნა ი. ქურდაძე ისე, რომ ეს ფონდები ოფიციალური მიღება-ჩაბარების აქტით არც მას მიუღია. ამ ხნის მანძილზე ამ ფონდებში ინვენტარიზაცია-შეჯერება არ ჩატარებულა და ეს პროცესი მხოლოდ ახლა მიმდინარეობს. წინასწარი შედეგებით გამოვლენილია 24 ექსპონატის დანაკლისი.

გარდა ამისა, 62 ექსპონატი დროებით სარგებლობაშია გადაცემული სხვადასხვა ორგანიზაციებზე და ჯერ არ დაბრუნებულა.

აუდიტის მიმდინარეობისას, კერძოდ, 2012 წლის 29 ივნისს, მუზეუმის გენერალური დირექტორის №212 ბრძანებით დაიწყო ხელოვნების მუზეუმისა და ეროვნული გალერეის ფონდების შეჯერების პროცესი, რისთვისაც შესაბამის კომისიებს ვადა მიეცათ 30 ოქტომბრამდე. აღნიშნული პროცესის დასრულების შემდეგ, შესაძლებელი იქნება ფონდებში რეგისტრირებული ექსპონატების არსებობის რეალობის დადგენა, დანაკლისის გამოვლენა და საჭიროების შემთხვევაში შერჩევითი გადამოწმების დროულად ჩატარება, რაც დღეის მდგომარეობით აუდიტის ჯგუფისთვის შეუძლებელია.

მუზეუმებში დამკვიდრებული იყო ინვენტარიზაცია-შეჯერების არასწორი პრაქტიკა. შეჯერება ტარდებოდა არსებული ექსპონატების საინვენტარო წიგნების ჩანაწერებთან და არა წინა ინვენტარიზაციის მონაცემებთან შედარებით. შედეგად, წინა ინვენტარიზაციით დაფიქსირებული დანაკლისი კვლავ დანაკლისად ფიქსირდებოდა ისე, რომ არ ხდებოდა გამიჯვნა, თუ რა დროს წარმოიშვა ეს დანაკლისი და კონკრეტულად ვინ იყო მასზე პასუხისმგებელი პირი. ამჟამად მიმდინარე შეჯერების დროს 13 ფონდში დაფიქსირებული ე.წ. დანაკლისი შეადგენს 200 ერთეულს, თუმცა არ არის დადგენილი, როდის და ვის მიერ იქნა ეს დანაკლისი დაშვებული. მაგალითად, 2002 წელს სიმონ ჯანაშიას მუზეუმის ისტორიული მიმართულების აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კოლექციების ე.წ. „ძველი და მიმდინარე“ (მათ შორის მოსკოვის დონის მონასტრის) და „კაზრეთის“ ფონდების მცველის მ. სინაურიძის გარდაცვალების გამო, ეს ფუნქცია ისე დაეკისრა ლ. გვრიტიშვილს, რომ ოფიციალური მიღება-ჩაბარება არ განხორციელებულა. მას შემდეგ რამდენჯერმე განხორციელდა ფონდების რეორგანიზაცია, მაგრამ 2011 წლამდე ოფიციალური აღწერა-შეჯერება არ ჩატარებულა. 2011 წელს ჩატარებული აღწერა-შეჯერების შედეგად გამოვლინდა 90 საინვენტარო ნომრით გატარებული 149 ექსპონატის დანაკლისი. ძირითადად, თიხის ჭურჭლის ნატეხები, ბრინჯაოს ნაკეთობები, ფოტოები და ა.შ. მათ შორის ადგილზე არ აღმოჩნდა 179 გრამი ვერცხლისგან დამზადებული ბადია (დაზიანებული), რომელიც საინვენტარო წიგნის მონაცემების მიხედვით ძვირფასი ლითონების ფონდშია გადაცემული, რაც იმ ფონდის მაშინდელი მცველის ლ. ჯავახიშვილის ხელმოწერით დასტურდება. მაგრამ არ არის მიღება-ჩაბარების აქტი და ვერც ეს ექსპონატი მოიძებნა ძვირფასი ლითონების ფონდში. ფონდების კურატორის ლ. გვრიტიშვილის განმარტებით, მან 2006 წელს ჩაატარა არაოფიციალური აღწერა და ეს ექსპონატი მაშინაც არ იყო ადგილზე, თუმცა ეს ფაქტი დოკუმენტურად არ გაფორმებულა, რაც ასევე აღრიცხვის მოუწესრიგებლობაზე მიუთითებს.

მუზეუმის პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნულ ფონდებში დანაკლისების ძირითად მიზეზს წარმოადგენს შემდეგი ფაქტორები: ხშირად აღურიცხავად ხდებოდა ექსპონატების საგამოფენო დარბაზებში გატანა, ასევე ექსპონატების სხვადასხვა ფორმით გადაადგილება, მათ შორის სხვადასხვა დაწესებულებებზე გადაცემა შესაბამისი დოკუმენტების გაფორმების გარეშე. ზოგჯერ, გამოფენის მომზადების დროს, ექსპონატებიდან საინვენტარო ნორმის აღმნიშვნელ ეტიკეტს ხსნიდნენ და საგამოფენო ექსპონატების ნუსხას აქტით არ აფორმებდნენ, რაც დღეს ქმნის გაურკვევლობას, ვინაიდან, რიგ შემთხვევაში, ვერ ხერხდება ძველი გამოფენებიდან ფონდებში დაბრუნებული ნივთების იდენტიფიცირება. აქედან გამომდინარე, ხშირია „დანაკლისად“ მიჩნეული ექსპონატების პოვნის შემთხვევები, რაც აღრიცხვის საკითხის სერიოზულ ხარვეზებზე მიგვითითებს და რაზედაც შემდეგი მაგალითები აშკარად მიუთითებს: წარმოდგენილი ცნობის მიხედვით, შუა საუკუნეების არქეოლოგიური კოლექციების 16 ფონდიდან ცხრაში 2009 წელს ჩატარებულია ინვენტარიზაცია და შეჯერება. აქედან 7 ფონდში გამოვლინდა 126, მათ შორის, განჯისკარის ფონდში 19 ექსპონატის დანაკლისი. აღსანიშნავია, რომ ე.წ. ალევის, ურბნისისა და განჯისკარის ფონდების მცველად გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ოფიციალური მიღება-ჩაბარების გარეშე დაინიშნა გ. კიკნაძე. 2009 წლის იანვარ-თებერვალში ამ ფონდებში ჩატარდა აღწერა-შეჯერების პროცესი და დაფიქსირდა 43 ექსპონატის დანაკლისი. ამ დროს XX საუკუნის 90-იან წლებში მოწყობილი – შუა საუკუნეების მატერიალური კულტურის ექსპოზიციიდან განჯისკარის ფონდში დღეს რამდენიმე ათეული ექსპონატია, რომლებსაც არ გააჩნია შესაბამისი ნომერი და ჯერჯერობით ვერ დადგინდა, თუ რომელ კოლექციას განეკუთვნება ისინი. ამჟამად მიმდინარეობს ფონდების სხვა მცველებზე გადაბარების და შეჯერების პროცესი.

ამავე კოლექციების „კახეთის“ ფონდში 2004 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის აქტით ფიქსირდება 18 ექსპონატის დანაკლისი. 2009 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციით კი კიდევ 10 ექსპონატის დანაკლისი აისახა აქტში. 2012 წელს აუდიტის პარალელურად, კვლავ მიმდინარეობდა ამ ფონდის შეჯერება, რომელიც ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ 15 ექსპონატი ზემოხსენებული 28 ერთეულიდან უკვე ნაპოვნი იყო.

# მსოფლიოს სახელგანთქმული დერბები



დერბი გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი შეხვედრა ფეხბურთში.

არსებობს უამრავი მიზეზი, რომლებიც წარმოშობენ მტრობას გუნდებს შორის და, შესაბამისად, ჩნდება დერბიც. ასეთი მიზეზებიდან განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია: გუნდების გეოგრაფიული ადგილმდებარეობები, ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენები (სხვადასხვა დაპირისპირებები, რომლებიც რეგულარულად ხდება ასეთ გუნდებს შორის, უფრო აღრმავებს მათ მტრობას), რელიგია.

მსოფლიოს ყველა კონტინენტსა თუ ქვეყანაში აქვთ დერბი, თუმცა რამდენიმე მათგანი განსაკუთრებით დაძაბული და საინტერესოა. ახლა სწორედ მათზე გავამახვილებთ ყურადღებას.

### ბოკა ხუნიორსი-რივერ პლეიტი

როგორც ყოველთვის, „ბოკასა“ და „რივერის“ თითოეული შეხვედრა არგენტინაში იმ დღეების მთავარი სალაპარაკო თემა ხდება. მათ ფანებს შორის არსებული დაპირისპირება, სიძულვილი და ძალადობა გამოწვეულია სოციალურ კლასებს შორის არსებული განსხვავებით.

ორივე გუნდი ბუენოს აირესის ღარიბ რეგიონში, „ლა ბოკაში“ დაარსდა. მოგვიანებით, 1930 წელს „რივერმა“ ადგილმდებარეობა შეიცვალა და მდიდრულ უბანში, „ნუნიესში“ გადავიდა. ასე ჩაეყარა საფუძველი მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს დერბის.

დღესაც არგენტინაში ბევრ გულშემატკივარს და ფეხბურთელს მიაჩნია, რომ ამ გუნდების დაპირისპირება არ არის მხოლოდ დერბი, არამედ სიმბოლური ბრძოლაა მდიდრებსა და ღარიბებს, იერარქიასა და საზოგადოების დაბალ სოციალურ ფენებს შორის.

### სელტიკი-რეინჯერსი

„რეინჯერსი“ „სელტიკის“ წინააღმდეგ – ეს გაცილებით მეტია, ვიდრე ფეხბურთის მატჩი.

მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი დერბი (სახელწოდებით ოლდ ფირმ) რელიგიურ ხასიათს ატარებს. ეს არის პროტესტანტებისა (რეინჯერსი) და კათოლიკეების (სელტიკი) დაპირისპირება.

ორივე გუნდი დომინირებს შოტლანდიის პრემიერლიგაში და თითქმის ყოველ წელს ჩემპიონის ვინაობაც მათ ბრძოლაში ირკვევა.

პ.ს. გასულ სეზონში ფინანსური პრობლემების გამო „რეინჯერსი“ მე-3 დივიზიონში დააქვეითეს, რის შედეგადაც „სელტიკს“ სეზონის ბოლოს, ფაქტობრივად, გარანტირებული აქვს შოტლანდიის ჩემპიონის ტიტული.

### რომა-ლაციო

მართალია, ორივე ამ გუნდს სძულს რომის ჩრდილოეთით არსებული იტალიური გრანდები (მილანი, ინტერი, იუვენტუსი), თუმცა მათ სიძულვილს ერთმანეთის მიმართ მაინც ვერაფერი შეედრება.

„რომას“ რომის პოპულარულ, ხოლო „ლაციოს“ რომის მდიდრულ უბნებში გულშემატკივრობენ. დერბის დაძაბულობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ამ გუნდების ფანებს შორის არსებული განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებია. „რომას“ გულშემატკივრებს, როგორც წესი, მემარცხენე, ხოლო „ლაციოს“ ფანებს მემარჯვენე იდეები აქვთ.

### ფენერბაჰჩე-გალათასარაი

ბოსფორის სრუტე ქალაქ სტამბულს ორად, ევროპულ და აზიურ ნაწილებად ჰყოფს.

საფეხბურთო კლუბი „გალათასარაი“, ამავე სახელწოდების ლიცეუმის სტუდენტებმა დააარსეს ქალაქის ევროპულ ნაწილში. მას მდიდარი და გამოჩენილი ადამიანები გულშემატკივრობდნენ.

რაც შეეხება „ფენერბაჰჩეს“, ის აზიურ მხარეს ეკუთვნის და ძირითადად მშრომელთა კლასი ქომაგობს. „ფენერი“ თურქეთში სახალხო კლუბად არის მიჩნეული.

განსხვავებულმა მენტალიტეტმა და კონკურენციამ ისინი ერთმანეთის დაუძინებელ მტრებად აქცია.

### ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი

„ოლიმპიაკოსი“ და „პანათინაიკოსი“ სამარადჟამო მეტოქეებად იქცნენ არა მარტო ფეხბურთში, არამედ სპორტის სხვა ნებისმიერ სახეობაშიც.

წარსულში, „პანათინაიკოსისგან“ განსხვავებით, „ოლიმპიაკოსი“ ათენის დაბალ სოციალურ ფენას წარმოადგენდა, თუმცა დღეს ვითარება შეიცვალა. გულშემატკივრებს შორის სოციალური განსხვავება აღარ არსებობს. აღსანიშნავია ისიც, რომ „ოლიმპიაკოსსაც“ და „პანათინაიკოსსაც“ საბერძნეთის სხვადასხვა ეკონომიკური და პოლიტიკური პარტიები ქომაგობენ.

### პარტიზანი-ცრვენა ზვეზდა

ორივე ეს კლუბი 1945 წელს დაარსდა. „პარტიზანი“ იუგოსლავიის არმიის ცენტრალური კლუბის ბაზაზე შეიქმნა, ხოლო „ცრვენა ზვეზდა“ უფრო სახალხო გუნდად იყო მიჩნეული. ქვეყნის მოსახლეობის 48 პროცენტი სწორედ „ცრვენა ზვეზდას“, ხოლო 30 პროცენტი „პარტიზანს“ გულშემატკივრობს. ბელგრადის დერბი ფანებს შორის ყოველთვის დიდი ვნებათაღელვით გამოირჩევა.

### პალმეირასი-კორინთიანსი

1914 წელს, როდესაც იტალიური კლუბები, „ტორინო“ და „პრო ვერჩელი“ ბრაზილიაში ჩავიდნენ, სან პაულოში მცხოვრებმა იტალიელებმა გადაწყვიტეს დაეარსებინათ იტალიური კლუბი ფეხბურთსა და კალათბურთში. ამ კლუბს „პალესტრა იტალია“ ეწოდა.

მთავარი კი ის არის, რომ ეს იტალიელები ბრაზილიური „კორინთიანსის“ წევრები იყვნენ, მაგრამ დატოვეს კლუბი, რის გამოც შეირაცხნენ მოღალატეებად. „პალესტრამ“ (პალმეირასი) და „კორინთიანსმა“ სანპაულოში თავ-თავიანთი გულშემატკივრები გაიჩინეს და ასე დაიწყო დერბის ისტორიაც.

### მილანი-ინტერი

„მილანი“ ინგლისელმა ემიგრანტებმა დააარსეს 1899 წელს. მისი ზოგიერთი წევრი უკმაყოფილო იყო იმით, რომ გუნდში მხოლოდ ბრიტანელებს შეეძლოთ თამაში. მათ დააარსეს მეორე გუნდი და სახელიც იდეის შესაფერისი – „ინტერნაციონალე“ უწოდეს.

თავდაპირველად „ინტერი“ მემარჯვენე იდეებზე ორიენტირებული გუნდი იყო, „მილანს“ კი ძირითადად მუშები გულშემატკივრობდნენ. დროთა განმავლობაში ვითარება შეიცვალა. დღესდღეობით „ინტერს“ მემარცხენე ბიზნესმენი, მასიმო მორატი პატრონობს, ხოლო „მილანის“ მფლობელი იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, კონსერვატორი სილვიო ბერლუსკონია.

მილანურ დერბის „დერბი დელა მადონინა“ ეწოდება.

### დინამო (ბ)-სტიაუა

ეს არის უდიდესი იმ მრავალრიცხოვან დერბებს შორის, რომლებიც ქალაქ ბუქარესტში გვხვდება.

კომუნისტების პერიოდში, 1989 წლამდე, „სტიაუას“ მფარველობას უწევდა თავდაცვის სამინისტრო, ხოლო „დინამოს“ შინაგან საქმეთა სამინისტრო. ასე რომ, გარკვეულწილად ეს იყო დერბი – არმია პოლიციის წინააღმდეგ. აღსანიშნავია ისიც, რომ „სტიაუას“ ჩაუშესკუს ოჯახიც გულშემატკივრობდა.

### ევერტონი-ლივერპული

მერსისაიდული დერბი 1894 წლიდან იღებს სათავეს. ზოგიერთი ამ დაპირისპირებას მეგობრულ დერბისაც უწოდებს, რადგან ლივერპულში არცთუ იშვიათია ისეთი ფაქტები, როცა ოჯახში შეიძლება ცხოვრობდეს როგორც ერთი, ისე მეორე გუნდის გულშემატკივარი.

მიუხედავად ამისა, პრემიერლიგის დაარსებიდან დღემდე, არც ერთ დაპირისპირებაში არ დაფიქსირებულა იმდენი წითელი ბარათი, რამდენიც მერსისაიდულ დერბიში.

### მანჩესტერი-ლივერპული

ამ ქალაქების დაპირისპირება ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ეს კლუბები არც არსებობდნენ. ინგლისის ჩრდილო დასავლეთით მდებარე ეს ორი ქალაქი რეგიონში პირველობისა და გავლენის მოსაპოვებლად ებრძოდა ერთმანეთს. თუ მანჩესტერში მრეწველობა იყო განვითარებული, ლივერპული თავისი პორტის მნიშვნელობით ამაყობდა.

დღესდღეობით ამ ქალაქების უპირველესი კლუბები, „მანჩესტერი“ და „ლივერპული“ ინგლისის ყველაზე ტიტულოვანი გუნდის წოდებისთვის ებრძვიან ერთმანეთს.

ჩრდილო-დასავლეთ ინგლისური დერბი თითქმის ყოველთვის დღის პირველ ნახევარში იმართება. ამით ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია ცდილობს გულშემატკივრებს მატჩამდე დალევის საშუალება მოუსპოს და თავიდან აიცილოს დაპირისპირებები.

### შალკე-დორტმუნდი

ამ გუნდების დაპირისპირება რურის დერბის სახელითაა ცნობილი. რური გერმანიის ერთ-ერთი რეგიონია და ორივე ეს კლუბი ამ რეგიონში მდებარეობს.

რურის დერბის ისტორია 1925 წელს იწყება. პირველ შეხვედრაში „შალკემ“ 4:2 დაამარცხა „დორტმუნდი“. დაპირისპირებამ დაძაბული ხასიათი 1936 წლიდან მიიღო. შალკე ამ პერიოდში გერმანიის ყველაზე წარმატებული გუნდი იყო, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ვითარება შეიცვალა, გელზენკერხენელების დომინაცია დასრულდა.

მას შემდეგ ამ გუნდებს ურთიერთშეხვედრები პერიოდების მიხედვით, გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. სულ ნათამაშებ 131 შეხვედრაში „შალკემ“ 51 მოიგო, 33 ფრედ, ხოლო 47 „დორტმუნდის“ გამარჯვებით დასრულდა.

### ჰაიდუკი-დინამო (ზ)

ამ გუნდების ურთიერთშეხვედრების ისტორია სათავეს 1946 წლიდან იღებს. ორივე ხორვატიის საუკეთესო კლუბია, ორივე მათგანს ძალიან ძლიერი ფანთა გაერთიანებები ჰყავს, „ბბბ“ დინამოს, ხოლო „ტორსიდა“ ჰაიდუკს.

### პორტუ-ბენფიკა

ბოლო 20 წლის მანძილზე „პორტუსა“ და „ბენფიკას“ დერბი პორტუგალიური ფეხბურთის მთავარი დაპირისპირებაა. „პორტუ“, ქალაქისა და მთლიანად რეგიონის (ოპორტო) სიმბოლო, დედაქალაქური გრანდის წინააღმდეგ. ბევრი ამ დერბის თანამედროვეობისა (პორტუ) და ტრადიციების (ბენფიკა) ჭიდილად მიიჩნევს.

### აიაქსი-ფეინოორდი

„აიაქსის“, „ფეინოორდისა“ და პსვ-ის დაპირისპირებები ჰოლანდიაში „კლასიკერსის“ სახელითაა ცნობილი. მიუხედავად პსვ-ის წარმატებებისა ბოლო წლებში, ჰოლანდიის მთავარი დერბი მაინც „აიაქსსა“ და „ფეინოორდს“ შორის იმართება, ვინაიდან ორივე ეს გუნდი ქვეყნის უდიდეს ქალაქებს ეკუთვნის, ორივე მათგანს უდიდესი ისტორია და მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი ჰყავს.

### ბარსელონა-რეალი

ეს არის დერბი კატალონიისა და ესპანეთის დედაქალაქს შორის.

კატალონია ქვეყნის აღმოსავლეთით მდებარე რეგიონია, მოსახლეობა თავს ესპანეთისგან დამოუკიდებლად მიიჩნევს. მათთვის ამ დამოუკიდებლობის ერთ-ერთი გამოხატულება სწორედ საფეხბურთო კლუბი „ბარსელონაა“.

მეორე მსოფლიო ომიდან ფრანკოს სიკვდილამდე (1975 წ.), დიქტატორული რეჟიმი სდევნიდა კატალონიურ ენასა და სიმბოლოებს. ფრანკოს ფავორიტი „რეალი“, „ბლაუგრანას“ წინააღმდეგ გაცილებით მეტია, ვიდრე თუნდაც ორი უდიდესი კლუბის დაპირისპირება ესპანეთში.


## მანანა სექანიას



ვულოცავთ ღირსშესანიშნავ დაბადების დღეს, ვუსურვებთ იავარდით მოფენილ ცხოვრებას, სიკეთეს, ბედნიერებას, სიხარულს.

ღვთის მადლი, ჯანმრთელობა, მოყვას-მეგობრისადმი თანადგომა და სიყვარული ყოფილიყოს მეგზური ჩვენი მანჩოსთვის.



შპს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრის თანამშრომლები და უახლოესი მეგობრები


# ევროპას მხოლოდ ესპანეთი შემორჩა

**ესპანეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 26.05 ესპანიოლი-ბარსელონა | 5.5 | 4.33 | 1.53 |
| 26.05 სოსიედადი-რეალი | 2.5 | 3.5 | 2.62 |
| 26.05 ატლეტიკო-მალიორკა | 1.57 | 4.0 | 5.5 |
| 26.05 მალაგა-დეპორტივო | 2.4 | 3.5 | 2.8 |
| 26.05 ხეტაფე-რაიო | 2.2 | 3.3 | 3.2 |
| 26.05 ოსასუნა-სევილია | 2.5 | 3.4 | 2.7 |
| 26.05 ბილბაო-ლევანტე | 1.44 | 4.33 | 7.0 |
| 26.05 ბეტისი-სარაგოსა | 2.0 | 3.5 | 3.6 |
| 26.05 ვალიადოლიდი-სელტა | 2.9 | 3.3 | 2.37 |
| 26.05 ვალენსია-გრანადა | 1.25 | 5.5 | 12.0 |

### ესპანიოლი-ბარსელონა

ესპანიოლი: ***ტრავმ***-კრისტიან ალვარესი, ექტორ მორენო, სამუელ ლონგო; ***დისკვ***-სერხიო ტეიერა

ბარსელონა: ***ტრავმ***-ლეო მესი, კარლეს პუიოლი

### სოსიედადი-რეალი

სოსიედადი: ***ტრავმ***-დავიდ ზურუტუზა, გორკა ელუსტონდო; ***დისკვ***-კარლოს ველა, ილარამენდი

რეალი: ***ტრავმ***-სერხიო რამოსი, ხაბი ალონსო, რაფაელ ვარანი

### ატლეტიკო-მალიორკა

ატლეტიკო: ***ტრავმ***-არავინ

მალიორკა: ***ტრავმ***-ანტონიო ლოპესი, ალვარო, ჟოაო ვიქტორი; ***დისკვ***-ხავიერ არიზმენდი

### მალაგა-დეპორტივო

მალაგა: ***ტრავმ***-როკე სანტა კრუზი, მარტინ დემიჩელისი

დეპორტივო: ***ტრავმ***-კარლოს მარჩენა; ***დისკვ***-მანუელ პაბლო

### ხეტაფე-რაიო

ხეტაფე: ***ტრავმ***-ადრიან კოლუნგა, ბორხა, ხავი ტორესი

რაიო: ***ტრავმ***-ლას ბანგურა, ხოსე მანუელ კასადო, ტიტო, ლეო ბაპტისტაო, როდრი; ***დისკვ***-ადრიან გონსალესი

### ოსასუნა-სევილია

ოსასუნა: ***ტრავმ***-ნინო, მიგელ ფლანო, ლოლო ანტონი ანანი, სისი; დუისკვ-ფერნანდო ნანო

სევილია: ***ტრავმ***-გარი მედელი, ფედერიკო ფაციო, პიოტრ ტროხოვსკი; ***დისკვ***-ხოსე ანტონიო რეიესი, ალბერტ მორენო

### ბილბაო-ლევანტე

ბილბაო: ***ტრავმ***-ბორხა ეკიზა, აიმერიკ ლაპორტე, ინიგო პერესი

ლევანტე: ***ტრავმ***-ხუანფრანი, ხოსე ბაკერო

### ბეტისი-სარაგოსა

ბეტისი: ***ტრავმ***-ხავიერ ჩიკა, ნოსა იგიბორი, ხორხე მოლინა, დამიენ პერკინსი

სარაგოსა: ***ტრავმ***-ფრანკო ზუკულინი, ხავი ალამო, ივან ობრადოვიჩი; ***დისკვ***-ადამ პინტერი

### ვალიადოლიდი-სელტა

ვალიადოლიდი: ***ტრავმ***-არავინ

სელტა: ***ტრავმ***-აუგუსტო ფერნანდესი, მარიო ბერმეო, სერხიო ალვარესი, უგო მალო; ***დისკვ***-ჯონათან ვილა, ჯონი

### ვალენსია-გრანადა

ვალენსია: ***ტრავმ***-ტინო კოსტა, დიეგო ალვეში, ნელსონ ვალდესი, დანიელ პარეხო

გრანადა: ***ტრავმ***-ჰასან იებდა, დანიელ ბენიტესი, ფრან რიკო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 36 | 30 | 4 | 2 | 109-39 | 94 |
| 2.რეალი | 36 | 25 | 6 | 5 | 96-37 | 81 |
| 3.ატლეტიკო | 36 | 22 | 6 | 8 | 62-30 | 72 |
| 4.სოსიედადი | 36 | 17 | 11 | 8 | 66-46 | 62 |
| 5.ვალენსია | 36 | 18 | 8 | 10 | 63-50 | 62 |
| 6.მალაგა | 36 | 15 | 9 | 12 | 49-45 | 54 |
| 7.ბეტისი | 36 | 15 | 7 | 14 | 52-55 | 52 |
| 8.რაიო | 36 | 15 | 4 | 17 | 46-63 | 49 |
| 9.სევილია | 36 | 13 | 8 | 15 | 53-49 | 47 |
| 10.ხეტაფე | 36 | 13 | 8 | 15 | 42-53 | 47 |
| 11.ესპანიოლი | 36 | 11 | 11 | 14 | 43-49 | 44 |
| 12.ბილბაო | 36 | 12 | 8 | 16 | 42-62 | 44 |
| 13.ვალიადოლიდი | 36 | 11 | 10 | 15 | 47-52 | 43 |
| 14.ლევანტე | 36 | 11 | 9 | 16 | 38-56 | 42 |
| 15.გრანადა | 36 | 10 | 9 | 17 | 35-53 | 39 |
| 16.ოსასუნა | 36 | 9 | 9 | 18 | 29-45 | 36 |
| 17.დეპორტივო | 36 | 8 | 11 | 17 | 46-66 | 35 |
| 18.სარაგოსა | 36 | 9 | 7 | 20 | 36-55 | 34 |
| 19.მალიორკა | 36 | 8 | 8 | 20 | 39-70 | 32 |
| 20.სელტა | 36 | 8 | 7 | 21 | 34-52 | 31 |

# რუსული პრესა პუტინის წერილის შინაარსის მიხვედრას ცდილობს



როგორც გუშინ ცნობილი გახდა, ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მისი რუს კოლეგისგან, ვაშინგტონში მყოფი ნიკოლაი პატრუშევის ხელით, წერილი მიიღო. წერილის შინაარსი გასაიდუმლებულია, თუმცა ამერიკაში რუსეთის საელჩოში „როსიისკაია გაზეტას“ განუცხადეს, რომ წერილი „ორ ქვეყანას შორის ამჟამინდელი მდგომარეობას და ორმხრივი ურთიერთობის პერსპექტივებს“ შეეხება.

ადრე პრეზიდენტის თანაშემწე იური უშაკოვმა განაცხადა, რომ საპასუხო წერილი „კონტრუქციულად იქნება შედგენილი“. მასში ასახულია მოსკოვის პოზიცია რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვასთან დაკავშირებით, ასევე განცხადება ორი ქვეყნის სპეცსამსახურების თანამშრომლობის შესახებ. „დოკუმენტში კონკრეტული წინადადებაა, რომელშიც შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გათავლისწინებით, ორი ქვეყნის სპეცსამსახურების თანამშრომლობის აუცილებლობაზეა საუბარი“, – აღნიშნა უშაკოვმა.

„კომერსანტის“ წყაროს ცნობით კი პუტინის გზავნილის მთავარ საკითხს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვასთან დაკავშირებული პრობლემა წარმოადგენს.

ვაშინგტონში მყოფი პატრუშევი ობამას გარდა, ამერიკის თავდაცვის მინისტრი ჩაკ ჰეიგელს და ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილეს უილიამ ბერნსს შეხვდა.

როგორც ცნობილი გახდა, ობამამ და პატრუშევმა ვაშინგტონში შეხვედრაზე ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების მზადყოფნაზე ისაუბრეს, მათ შორის ეკონომიკის სფეროში. ობამამ მის რუს კოლეგას დამანგრეველი ტორნადოს შემდეგ, დახმარების შეთავაზებისათვის მადლობა გადაუხადა.

# ქართული კომპანიები რუსეთში ღვინის მიწოდებისთვის აქციზური მარკების მიღებას ელიან

რუსულ ბაზარზე ქართული ღვინის შეტანის პრობლემებს სტატიას „კავკაზსკი უზელი“ უძღვნის:

– „როსპოტრებნადზორს“ ჯერ კიდევ არ მიუცია ქართული ღვინის კომპანიებისთვის აქციზური მარკები, რომელიც აუცილებელია რუსეთის ტერიტორიაზე ალკოჰოლური პროდუქციით ვაჭრობისთვის. ღვინის ქართული ეროვნული სააგენტოს ხელმძღანელის, ლევან დავითაშვილის თქმით, აქციზური მარკების მიღება ერთადერთი პროცედურაა, რომელიც მწარმოებლებისთვის აუცილებელია რუსეთში ქართული ღვინის ექსპორტის დასაწყებად.

საქართველოდან რუსეთში ალკოჰოლური პროდუქციის იმპორტი 2006 წლის გაზაფხულზე აიკრძალა. აკრძალვის ოფიციალურ მიზეზად „როსპოტრებნადზორმა“ ქართული პროდუქციის ხარისხი დაასახელა.

როგორც „კავკაზსკი უზელი“ იტყობინებოდა, 2013 წლის თებერვლიდან „როსპოტრებნადზორის“ სპეციალისტების მიერ იმ ქართული საწარმოების პროდუქციის შემოწმება მიმდინარეობდა, რომლებმაც რუსეთში საკუთარი პროდუქციის მიწოდებისთვის მზადყოფნა გამოაცხადეს. ინსპექციის შედეგებით ცნობილი გახდა, რომ რუსეთის ფედერაციაში რეგისტრაციისთვის შეიძლება დაახლოებით 200 სახეობის ღვინო იყოს წარდგენილი. 21 მაისს „როსპოტრებნადზორის“ ხელმძღანელმა გენადი ონიშენკომ განაცხადა, რომ რუსულ ბაზარზე პროდუქციის მიწოდების შესაძლებლობა უკვე მიიღო ცხრა ქართულმა ღვინის მწარმოებელმა საწარმომ, ღვინის პროდუქციისთვის აქციზური მარკები უკვე დამზადებულია. სულ 90 სახეობის ქართულ ალკოჰოლურ პროდუქციას რუსეთში შესვლის უფლება მიეცა.

მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ქართული ღვინის კომპანიებს რუსეთში საკუთარი პროდუქციის შესატანად აქციზური მარკები ჯერ არ მიუღიათ.

ფაქტობრივად ყველა საწარმომ, რომელმაც სერტიფიცირება გაიარა, მოასწრეს ხელშეკრულების გაფორმება რუსულ საწარმოებთან, რომლებიც რუსეთში ქართული ღვინის იმპორტირებისთვის მზად არიან.

„სამწუხაროდ, ეს აქციზური მარკები არ მიგვიღია, თუმცა რამდენადაც ვიცით, ის დღე-დღეზე უნდა მივიღოთ“, – განუცხადა ინტერვიუში „კავკაზსკი უზელს“, კომპანია „დუგლაძის ღვინოების“ ენოლოგმა დავით მაჭავარიანმა.

მანვე განაცხადა, რომ მისმა კომპანიამ რუსეთში პროდუქციის შეტანაზე რუსულ კომპანიებთან კონტრაქტი უკვე გააფორმა.

„ჩვენ მიწოდების კონკრეტულ ვადებზე არ შევთანხმებულვართ, ასე რომ, ამ ეტაპზე აქციზური მარკების დაგვიანების გამო, ჩვენს კომპანიას არანაირი დანაკარგები არ განუცდია“, – აღნიშნავს დავით მაჭავარიანი.

კომპანია „თელიან ველში“ ასევე აღნიშნეს, რომ ღვინოების მოწოდებაზე კონტრაქტები უკვე გაფორმებულია.

„მაგრამ ეს უკვე ჩენი პარტნიორების პასუხისმგებლობის სფეროა. თუ აქციზური მარკების დაგვიანება მათ ბიზნეს-გეგმებზე გავლენას იქონიებს, მაშინ არა ჩვენ, არამედ ჩვენი პარტნიორები უფლებამოსილნი არიან განცხადება გააკეთონ და „როსპოტრებნადზორისგან“ ჩვენი კომპანიისთვის აქციზური მარკების გადმოცემა მოითხოვონ“, – განმარტავს კომპანია „თელიანი ველის“ ექსპერტ-მენეჯერი მაკა გვირიაშვილი.

„როსპოტრებნადზორისგან აქციზური მარკების მიღება ერთადერთი აუცილებელი პროცედურაა ჩვენი მწარმოებლებისთვის, რათა რუსეთში ღვინის ექსპორტი დაიწყონ. დანარჩენ პროცედურებს მათი მონაწილეობის გარეშე გადიან რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურებში“, – განუცხადა „კავკაზსკი უზელს“ ღვინის სააგენტოს ხელმძღვანელმა ლევან დავითაშვილმა.

მისი თმით, დღესდღეობით საქართველო აწარმოებს 10 მილიონ ლიტრ ღვინოს, საიდანაც მილიონ 488 ათასი ლიტრი ექსპორტზე იყიდება. „ყოველწიურად ექსპორტის რაოდენობა 20 პროცენტით იზრდება. ასეთ სიტუაციაში რუსული ბაზარი, რასაკვირველია, ერთ-ერთი პრიორიტეტულია“, – აღნიშნავს დავითაშვილი.

ასე რომ, დავითაშვილი მიუთითებს, რომ იმ შემთხვევაში თუ „როსპოტრებნადზორი“ ამ წელს არ გასცემს ნებართვას რუსეთში ღვინოების შეტანაზე, ეს ქართული ღვინოს წარმოებაში კატასტროფებს არ გამოიწვევს.

„ნებისმიერ შემთხვევაში, ქართული ღვინის ბაზარი ახლა საკმაოდ დივერსიფიცირებულია, ჩვენ ექსპორტს ვახორციელებთ ჩინეთში, ევროპის ქვეყნებში – საფრანგეთში, გერმანიაში, ბალტიისპირეთში, ასევე აშშ-ში, ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში – უკრაინასა და ბელორუსიაში. ასე რომ, ქართული ღვინის წარმოება საკმაოდ მყარად დგას ფეხზე“, – ხაზს უსვამს ლევან დავითაშვილი.

შეგახსენებთ, რომ მინერალურ წყალ „ბორჯომის“ პირველმა პარტიამ 21 მაისს რუსეთში საბაჟო კონტროლი წარმატებით გაიარა. მინერალური წყლის ეს პარტია საცდელია, რის შემდეგაც მიწოდების მოცულობა გაიზრდება, განაცხადა კომპანია „აიდისი ბორჯომის“ წარმომადგენელმა ოლგა ჩიტაიამ.

ბორჯომის შეტანა რუსულ ბაზარზე ასევე 2006 წელს შეწყდა.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# რუმინეთი „გაზპრომის“ მონოპოლიის დანგრევით იმუქრება



„რეგნუმის“ ცნობით, რუმინეთის ენერგეტიკის მინისტრი კონსტანტინ ნიცე აცხადებს, რომ უკვე 2013 წლის შემოდგომისთვის ქვეყანა მიაწოდებს ბუნებნრივ გაზს მოლდავეთს. მინისტრის სიტყვებით, ხუთი წლის შემდეგ, შავი ზღვის შელფის წყალობით, რუმინეთი შეძლებს ფიქალის გაზისა და „ცისფერი სათბობის“ მოპოვებასა და ექსპორტირებას.

ნიცე მიიჩნევს, რომ რუმინეთი სულ მალე ენერგორესურსების იმპორტიორიდან იქცევა ბუნებრივი გაზის ექსპორტიორად, რასაც უცილობლად მოჰყვება „გაზპრომთან“ კონკურენცია, თანაც არა მარტო მოლდავეთში, არამედ მთელ ბალკანეთის რეგიონში.

მინისტრმა აღნიშნა, რომ დიდ იმედებს ისახავს გაზსადენ „ნაბუქოსთან“ დაკავშირებით.

„დროთა განმავლობაში თქვენ დაინახავთ, რომ ფიქალის გაზისა და ახალი გაზსადენის მარშრუტების გაჩენასთან ერთად დაეცემა ფასები გაზზე. ეს არის ბაზრის ლოგიკა. რეგიონში კონკურენტული ბაზრის გაჩენასთან ერთად მოიხსნება „გაზპრომის“ მონოპოლიის პრობლემა, ვისთანაც ადრინდელი თანაფარდობის პირობებში ძნელი იყო მოლაპარაკებების წარმართვა“, -განაცხადა ნიცემ.

უკვე წლევანდელი წლის ბოლოსათვის სრულდება გაზსადენ იასი-უნგენის მშენებლობა, რომელიც გააერთიანებს რუმინეთისა და მოლდავეთის გაზსადენებს. 2009 წელს რუმინეთის ხელისუფლებამ სამართლებრივი გზით შეძლო უკრაინისაგან გამოეხსნა შავი ზღვის შელფის ტერიტორია, სადაც ამჟამად მიმდინარეობს აქტიური გეოლოგიური დაზვერვა და გაზის მოპოვების რენტაბელობის შეფასება.

გაზპრომი უდიდესი რუსული კომპანია და ბუნებრივი აირის უმსხვილესი მწარმოებელია მსოფლიოში.

გაზის რეზერვებისა და მსოფლიოში ყველაზე გრძელი გაზსადენის ქსელის (150.000 კმ) გარდა კომპანია ფლობს აქტივებს საბანკო, სადაზღვევო, მედიის, სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო სფეროებში.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

## ორშაბათი 27 მაისი

06.30 დ/ფ „ფერების სამყარო„ 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.50 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 17.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული და შურისძიება„ 21.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 „კომენტატორი„ 01.30 „საფარი„ 02.00 მხ/ფ „ცვილის ფიგურების სახლი„ (ტიტ.)

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები„ — „მადრიდი„ 09.00 მხ/ფ „სულელების ოქრო„ (კ.ჰადსონი) 11.00 დ/ფ „შტაინერების ოჯახი„ 12.00 მხ/ფ „მის კონგენიალურობა-2„ (ს.ბალოკი) 14.00 „ეპიცენტრი„ (შაბ. გ/ჩვ) 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 16.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 4 ნაწ. 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება)10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ფულთან თამაში (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„. 19.05 მთავარი ფაქტორი 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მთავარი ფაქტორი (პ/ე) (გაგრძელება) 23.00 მხ/ფ „გარიგება„ (ს.ბლერი) 01.25 მხ/ფ „ქვის მთლელი„ (ჯ.პაკულა) (ტიტ.) 02.55 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ყველაზე ჭკვიანი 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 „საქართველოს ვარსკვლავი„ 00.00 შიშის ფაქტორი 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები.

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.20 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.45 მხ/ფ „ლუკას სახარება„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნებების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.05 მხ/ფ „ფესვები„ 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 სპექტაკლი - „ბნელ ოთახში„ 16.50 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 17.15 კონცერტი - „ეგარი„ 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „სანამ წვიმა გადიღებლდეს„ 20.40 ძილი ნებისა 21.20 სალვთისმეტყველო საუბრები 22.25 საუბრები ლიტერატურაზე 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „იალალობა აჭარაში„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ბერნარდა ალბას სახლი„

მაესტრო 7.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00 ახალი ამბები 11.00, 14.30, 17.00 მაგთიფანი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ (გამ.) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 „პრესკლუბი„ 16.30 „ღია კარის დღე„ (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30, 5.30 „ყოველდღიური აბები„ 22.20, 0.30 მაგთიფანი 23.00, 3.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

## სამშაბათი 28 მაისი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.30 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 17.00 დ/ფ „ისლანდიის ვულკანის მორიგი ამოფრქვევა„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული და შურისძიება„ 21.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 22.00 „აქცენტები„ 23.30 მხ/ფ „საგანგებო ექსტრადიცია„ (რ. უიზერსპუნტი) 01.50 დ/ფ „ლურჯი დუნაი და გარეული ცხენები„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 4 ნაწ. 14.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ 27-ე სერ. 16.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 5 ნაწ. 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 22.00 „არგუმენტების დრო„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება)10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 კონცერტი: „ორერა" 1 ნაწილი (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ახალი საბავშვო ხმა (პ/ე) ფინალი 00.15 მხ/ფ „მე დევიდი ვარ„ (ჯ.კავიზელი) 02.00 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ. „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია. 23.30 სერ. „ბრიმი„ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.15 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.40 სპექტაკლი - „ბნელ ოთახში„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.00, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული სწავლება 10.50 საუბრები ლიტერატურაზე 10.20 სალვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „სანამ წვიმა გადიღლიდეს„ 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 16.00 კონცერტი - კ. პევზნერის სალამო 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩემი ქვეყანა 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ჩვენი ბიბლიოთეკა 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩვენი ფონდი 23.40 ღირსი ასურელი მამა პიროს ბრეთელი 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.45 კარაბადინი 02.10 ირაო

მაესტრო 7.00, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00 ახალი ამბები 11.00, 14.30, 17.30, 22.20, 0.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50, 23.00, 3.30 თოქ-შოუ — „პოლიტმეტრი„ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 „პრეს-პრესი„ (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30, 5.30 „ყოველდღიური აბები„ 1.00, 3.00 ახალი ამბები

## ოთხშაბათი 29 მაისი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 17.00 დ/ფ „პლანეტა დედამიწის სიღრმეში„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული და შურისძიება„ 21.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 მხ/ფ „ტკბილი ნოემბერი„ (კ.რივზი) 01.20 ანიმც. მხ/ფ „გონების დაბინდვა„ (ტიტ.)(კ.რივზი)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 10.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 „არგუმენტების დრო„ (სამშ. გ/ჩვ) 12.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება)10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ფულთან თამაში 23.00 მხ/ფ „ადრენალინი 2„ (ე.სმარტი) 01.15 მხ/ფ „რიდიკის თავგადასავალი„ (ჯ.დენჩი) 03.15 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 იღბლიანი ბორბალი. 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 ნანუკას შოუ. 23.30 სერ. „ბრიმი„ 00.30 კინოაფიშა. 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 მხ/ფ „ბერნარდა ალბას სახლი„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 ქრისტიანული ხელოვნება 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 ქრისტიანული სწავლება 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.20 ჩვენი ბიბლიოთეკა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 16.00 ჩვენი ბიბლიოთეკა 16.30 დოკ/ფ „განვლილი წლები„ - ვლადიმერ ასათიანი 16.55 კვირიაკე 18.05 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 მხ/ფ „თუში მეცხვარე„ I სერ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „ხიდი„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „საბრალონი„ I სერ.

მაესტრო 7.00, 1.00, 4.30, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00 ახალი ამბები 11.00, 14.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ (გამ.) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 კვირის აბები (გამ.) 17.00 ჩემი ქორწილი (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 1.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 21.30, 2.30 მაგთიფანი 23.30, 5.00 თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები„

## ხუთშაბათი 30 მაისი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 17.00 დ/ფ „სიცოცხლე„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული და შურისძიება„ 21.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 სპორტული თოქ-შოუ: „არენა„ 00.00 მხ/ფ „დაუპატიჟებელი სტუმრები„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„. 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 6 ნაწ. 14.00 დ/ფ „მუზეუმის საიდუმლოებანი„ 2 ნაწ. 16.00 დ/ფ „ელიოტ ნესი ალკაპონეს წინააღმდეგ„ 22.00 „არგუმენტების დრო„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება)10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „ყველაზე ლამაზი გრძნობა„ (მ.პფაიფერი) 00.40 მხ/ფ „დედოფალი მარგო„ (ვ.პერესი) 03.05 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „საბრალონი„ I სერ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.35 დოკ/ფ „ხიდი„ 11.15 დოკ/ფ „ჩემი ქვეყანა„ 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „თუში მეცხვარე„ I სერ. 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 კონცერტი - ანს.„მამული„ 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „თუში მეცხვარე„ II სერ. 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.25 დოკ/ფ „უბისა„ 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ/ფ „ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა„ 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „საბრალონი„ II სერ.

მაესტრო 7.00, 3.00, 5.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00, 1.00 ახალი ამბები 11.00 კვირის აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50 თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები„ (გამ.) 14.30, 22.20, 0.30 მაგთიფანი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 მაგთიფანი კონცერტი (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბ. აზრი„ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30, 5.00 „ყოველდღიური აბები„ 23.00, 3.30 თოქ-შოუ - „პოლიტმეტრი„

## პარასკევი 31 მაისი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 17.00 დ/ფ „სამხედრო საზღვაო ავიაცია„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული და შურისძიება„ 20.30 ფეხბურთი. კახი კალაძის გამოსამშვიდობებელი მატჩი. (პ/რ „დინამო„ არენიდან) 23.00 „წითელი ზონა„ 00.00 მხ/ფ „მოკალი მონსტრი პირველ გვერდზე„ (ტიტ.) (დრამა. რეჟ: მ.ბელოკიო)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 10.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 „არგუმენტების დრო„ (ხუთშ. გ/ჩვ) 12.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება)10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) 17.50 სერ. „მაგნატები„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი 00.15 მხ/ფ „დევნილი„ (ტ.ლი ჯონსი) 02.00 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ.„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „საბრალონი„ II სერ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 დოკ/ფ „უბისა„ 10.55 მოკ/ფ „ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა„ 11.25 დოკ/ფ „საქართველო ჩვენია,გაიგე რუსო' 11.45 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „თუში მეცხვარე„ II სერ. 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დეკორატიული ფლორა 15.45 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 16.10 საუბრები ლიტერატურაზე 16.40 კონცერტი - ზ.ფალიაშვილი „ლატავრა„ (დირიჟორი ი. ჩოლოყაშვილი) 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 19.20 მხ/ფ „თუში მეცხვარე„ III სერ. 20.40 ძილი ნებისა 21.20 ლექსით ქებათა ქება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „ვარდისფერი კაცი„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.00 ჩვენი ბიბლიოთეკა

მაესტრო 7.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00 ახალი ამბები 11.00, 14.30, 17.00, 22.20, 0.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50, 23.00, 3.30 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 პრესკლუბი 16.30 „მონიტორის/ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30, 5.30 „ყოველდღიური აბები„

## შაბათი 1 ივნისი

08.00 საბ. მხ/ფ „კაცები და ქალები„ 10.00 საბ. ტ/სერ „ზინგზილები„ 11.00 „პეპე და მეგობრები„ 12.00, 16.00, 20.00, 03.30 „მოამბე„ 12.30 კლასიკური მუსიკის კონცერტი 14.00 საბ. მხ/ფ „მოვედით და მოვიმღერით„ (გ.წულაია) 15.30 „ჩემპიონთა ლიგის დღიური„ 16.30 ანსამბლი „მართვე — 33„ 18.00 „ეტალონი„ 19.00 „10I10„ 21.00 „საგარეო პოლიტიკა/ (პ/ე) 22.00 „ახალი ქართული კინო„ 23.20 დ/ფ „კავკასიის შორეული ხეობები„ 00.00 მხ/ფ „ ჰაროლდი და კუმარი„ (ჰ.შლოსბერგი)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 10.00, 11.00, 15.00 „ბრიფინგის დრო„ 17.00 მხ/ფ „კომიკოსები„ (პ.ვილაჯო) 19.00 „ეპიცენტრი„ (პ/ე) 20.00 მხ/ფ „ოსტინ პაუერსი: ჯაშუში„ რომელმაც შემაცდინა„ (მ.მაიერსი) 22.00 ტ/სერ. „დედმამიშვილები„ I სერ. 23.00 მხ/ფ „რიპლის თამაში„ (ტიტ.) (ჯ.მალკოვიჩი)

08.00 ან/ფ „მონსტრები და მეკობრეები„ 5-6 სერ. 09.00 მხ/ფ „მიუზიკლი„ სიყვარული„ სპორტი 2„ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან/ფ „ავატარი„ 12.00 ქ/სერ. „შუა ქალაქში„ 13.00 სერ. „რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი„ 1 სერ. 14.20 იმედიატორი (გ/ჩ) 15.50 დოკ/ფილმი: „ელექტრომობილების შურისძიება„ 17.50 სერ „მაგნატები„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ქ/სერ. „შუა ქალაქში„ 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ „ბოროტების სავანე„ (მ.იოვოვიჩი) 01.50 მხ/ფ „უკანასკნელი ლეგიონი„ (კ.ფერტი) (ტიტ.) 03.30 მუსიკა

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია „პატარა პრინცი„ 09.30 შერეკილები 10.30 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 13.30 ქართ. მხ/ფ 16.30 „ნანუკას შოუ„ - (გ/ჩ) 19.00 ყველაზე ჭკვიანი. 20.05 სერ. „ერთგულების ძალა„ 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ 00.00 კინოაფიშა. 00.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.00 „Latin Angels" 01.30 სერ. „ბრიმი„ 02.00 მხ/ფ კლიპები

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 დოკ/ფ „ყველაზე, ყველაზე„ 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 „განთიადი„ (კოლაჟი) 10.05, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „თუში მეცხვარე„ III სერ. 13.25 ჩვენი ბიბლიოთეკა 13.55 ქრისტიანული სწავლება 14.05 დოკ/ფ „ვარდისფერი კაცი„ 15.10, 18.05, 21.05, 00.30 პატრიარქის ქადაგება 15.20 ოპერა-თამარ ივერი „ბოჰემა„ 17.25 დოკ/ფ „სამთავროს დედათა მონასტერი„ 18.10 ქრისტიანული ხელოვნება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 21.20 წმინდა მოციქულთა სწორი ნინო 21.40 კარაბადინი 22.25 პორტრეტი „ერთსულოვნების„ გალერეიდან 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 22.15 სიმღერის კვალდაკვალ 00.55 დოკ/ფ 02.15 მოკ/ფ „ბზიანეთი„

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 9.30 თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები„ (გამ.) 11.00, 18.45, 23.00, 3.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 15.30 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 21.45, 0.30, 4.30 თოქ-შოუ „პრესპრესი„ 1.30, 5.30 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება 2.30 „ღია კარის დღე„ 6.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„

## კვირა 2 ივნისი

08.00 დ/ფ„ცხოველთა სილამაზე„ 09.00 საბ. ტ/სერ „ზინგზილები„ 10.00 „ეტალონი„ 11.00 „პეპე და მეგობრები„ 12.00, 16.00 „მოამბე„ 12.30 „სპექტაკლის დრო„ — სატელევიზიო თეატრის სპექტაკლი: „ხიდი„ 15.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები„ 16.30 „ვაშინგტონი დღეს„ 17.00 ქართ. მხ/ფ „სინათლე ჩვენს ფანჯრებში„ 18.30 დ/ფ „ევროვიზიის დღიური„ ფინალი 19.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა„ — ბავშვთა ოცნების ქალაქი „მზიური„ 20.00 „მოამბე„ 20.25 ფეხბურთი. საერთაშორისო ამხანაგური მატჩი: ირლანდია — საქართველო (პ/რ დუბლინიდან) 22.25 „უცნობი მუსიკა„ 23.00 კონცერტი 00.00 მხ/ფ „უდანაშაულობის პრეზუმფცია„ (ჰ.ფორდი)

08.00 დ/ფ „პატარა მომთაბარე ტომები და პოლარული სიცივე„ 09.00 „ბრიფინგის დრო„ 10.00 მხ/ფ „ავტომრბოლელი„ (ს.სარანდონი) 12.10 მხ/ფ „და ყველაფერი განათდა„ 14.00 დ/ფ „გიიკების რევანში„ 15.00 საქართველოს პარლამენტის სხდომები (განვლილი კვირის დაიჯესტი) 19.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები„ — „უილის სიმპსონი„ 20.00 მხ/ფ „მევერიკი„ (მ.გიბსონი) 22.00 ტ/სერ. „დედმამიშვილები„ 2 სერ. 23.00 მხ/ფ „სიცოცხლის მტკიცებულება„ (ტიტ.)(მ.რაიანი)

08.00 ან/ფ „მონსტრები და მეკობრეები„ 7-8 სერ. 09.15 ქ.მხ/ფ „პირველი მერცხალი„ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ/სერ. „შუა ქალაქში„ 13.00 სერ. „რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი„ 2 სერ. 14.20 მხ/ფ „ტალღებთან მოთამაშე„ 17.40 იმედის გმირები 17.50 სერ. „სახიფათო კავშირი„ 1 სერ. 21.00 ღამის შოუ 22.00 ქ/სერ. „შუა ქალაქში„ 23.00 რომ გადახვალ„ გააჩერე 23.30 იმედიატორი 01.00 დოკ/ფ „ჩემი პერესტროიკა" 02.00 მუსიკა

08.00 კურიერიჰ დაიჯესტი 08.30MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია „პატარა პრინცი„ 09.30 შიშის ფაქტორი 10.30 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ 12.00, 15.00, 18.00, 04.00 კურიერი 12.30 დოკ/ფ (ფრაგმენტი) 13.00 „საქართველოს ვარსკვლავი„ 16.30 პროფილი (გ/ჩ) 19.00 ეკი ვოკი 20.00 იღბლიანი ბორბალი 21.00 P.S. 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ 23.00 კომედი შოუ 00.00 კარდაშიანების ოჯახი 01.00 ტოპ გოგო (გ/ჩ) 01.30 სერ. „ბრიმი„ 02.00 მხ/ფ კლიპები

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.10 სახარება 08.20 გამოყენებითი ხელოვნება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 „განთიადი„ (კოლაჟი) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 22.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.50 სიმღერის კვალდაკვალ 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „მაისის თოვლი„ 13.25 ქრისტიანული ხელოვნება 14.00 დოკ/ფ „უფლის ჯარისკაცები„ 14.30 კარაბადინი 15.05, 18.05, 21.05, 00.10 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 სალვთისმეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები 19.35 მხ/ფ „სამანიშვილის დედინაცვალი„ 21.35 ლექსით ქებათა ქება 21.45 კვირიაკე 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 23.40 დრო და ადამიანები 00.30 მხ/ფ „ჩემი მსახურის და„

მაესტრო 7.00, 23.30, 4.00, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 9.30, 18.45, 3.30 „ღია კარის დღე„ 10.00, 11.00, 22.30, 0.00, 2.30, 5.30 მაგთიფანი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 15.30 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.30 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება 20.00, 4.30 ჩემი ქორწილი 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 21.45, 1.30 კვირის აბები

# მსოფლიოში რუსეთისადმი ნეგატიური განწყობა იზრდება

## ბი-ბი-სის მიერ ჩატარებული კვლევების სენსაციური შედეგები

ბი-ბი-სი ყოველ წელს ატარებს კვლევას, რომლის მიზანია დაადგინოს, თუ მსოფლიოში რომელი ქვეყნის მიმართ შეინიშნება დადებითი ან უარყოფითი განწყობილებები. ასეთი გამოკითხვა 2013 წელსაც ჩატარდა, 18 მაისს კი მისი შედეგები გამოქვეყნდა. კვლევამ 25 სახელმწიფო მოიცვა.

– ესაა მართლაც სრულმასშტაბიანი სოციოლოგიური გამოკვლევა. კანონზომიერია, რომ მის შედეგებს მსოფლიოს გავლენიანი პოლიტიკოსები ითვალისწინებენ, – აღნიშნავს „მონდი“.

სოციოლოგები კარგა ხანია თვლიან, რომ რუსეთისადმი დამოკიდებულება მსოფლიოში უარესდება. წლევანდელმა გამოკვლევამ ეს დაადასტურა. თუკი 1991-92 წწ-ში რუსეთის მიმართ გარკვეული ილუზიები არსებობდა, ახლა ამისაგან, ფაქტობრივად, აღარაფერი დარჩა. ხელისუფლებაში ვლადიმერ პუტინის მოსვლის შემდეგ რუსეთში აგრესიული და შოვინისტური მიმართულება მკვეთრად გაიზარდა. შესაბამისად, მსოფლიოში რუსეთის მიმართ ნეგატიურმა განწყობამ იმძლავრა:

– დღეს რომ რუსეთის ხელისუფლებაში ეგორ გაიდარის ტიპის მოღვაწე ყოფილიყო, დასავლეთი შეურიგდებოდა იმას, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში (ამა თუ იმ ფორმით) რუსეთის დომინირება შენარჩუნებულიყო. პუტინის შოვინისტურმა კურსმა ამას ხაზი გადაუსვა, – თვლის პოლოტოლოგი ტარას ბერეზინეცი.

ცნობილი გერმანელი ექსპერტი ვალტერ ლაკუერი ჯერ კიდევ 1993 წელს წინასწარმეტყველებდა, რომ რუსეთში ფაშისტური და შოვინისტური ტენდენციების ზრდა გარდაუვალია. ლაკუერის წიგნი, „შავრაზმელები რუსეთში: ექსტრემისტული მოძრაობის სათავეებთან“, მსოფლიო ბესტსელერი გახდა. ლაკუერის პროგნოზები გამართლდა.

დღეს რუსეთში სახეზეა ანტიდემოკრატიული, ანტიამერიკული, ანტიდასავლური ტენდენციების გაძლიერება. აღსანიშნავია, რომ ასეთი განწყობილებები ახასიათებს როგორც უბრალო ხალხს, ასევე ინტელიგენციასაც. ეს ნათლად გამოჩნდა ცნობილი რეჟისორის ნიკიტა მიხალკოვის სატელევიზიო გამოსვლაში.

– მიხალკოვმა აშშ-ს მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა დასდო ბრალად და რუსეთის რაღაც მესიანურ როლზე ისაუბრა, – წერს პოლიტოლოგი სერგეი ნაბოჟენკო, – მისი გამოსვლა ძალზე მოგვაგონებდა იმ გერმანელი ინტელიგენტების პოზიციას, რომლებიც ჰიტლერს უჭერდნენ მხარს და ნაციზმის გამართლებას ცდილობდნენ.

თანამედროვე რუსული იდეოლოგია ნაკლებად კონკრეტული და აგრესიულია, ვიდრე გერმანული ნაციზმი. მიუხედავად ამისა, მისი უმთავრესი მახასიათებლებია ანტიდემოკრატიზმი, ანტისემიტიზმი, ანტიამერიკანიზმი. გამომდინარე აქედან, კანონზომიერია, რომ მთელ მსოფლიოში რუსეთისადმი ნეგატიური დამოკიდებულება იზრდება. ბი-ბი-სის მონაცემებით, 25 ქვეყნიდან 15- ში დაფიქსირდა რუსეთისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. თუკი გასულ წელს აშშ-ში რუსეთისადმი ნეგატიურად განწყობილთა რიცხვი 42% შეადგენდა, წელს მან 59%-ს მიაღწია. რუსეთისადმი ნეგატიური განწყობილებები დომინირებს ისეთ განვითარებულ ქვეყანაში, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი. შედარებით გულგრილნი არიან ფრანგები და გერმანელები. აქ რესპონდენტთა 58%-მა აღნიშნა, რომ რუსეთი საერთოდ არ აინტერესებთ, დანარჩენებმა კი უარყოფითი პოზიცია დააფიქსირეს. შედარებით უკეთესი მაჩვენებელია ჩილეში. აქ რუსეთისადმი დადებითად განწყობილ მოქალაქეთა რიცხვმა 42% შეადგინა. ყველაზე კარგად რუსეთისადმი კი ინდოელები აღმოჩნდნენ განწყობილი (58%). ნიგერიასა და ეგვიპტეში მონაცემები თანაბარია,



40%-ს რუსეთის მიმართ დადებითი დამოკიდებულება აქვს, 40-ს კი – უარყოფითი, დანარჩენს ეს საკითხი არ აინტერესებს. ექსპერტები კანონზომიერად შეხვდნენ რუსეთისადმი ნეგატიური განწყობილებების დომინირებას პოლონეთსა და ბალტიისპირეთში. ლიტვაში მოსახლეობის 75% რუსეთს მტრად მიიჩნევს.

– ლიტვა ბალტიისპირეთის სახელმწიფოებიდან მუდამ ყველაზე მეტი პატრიოტიზმით გამოირჩეოდა. ამიტომაც პარტიზანული ომი აქ 1954 წლამდე გაგრძელდა. კრემლი იძულებული გახდა, ლიტვაში თავისი „ინტერნაციონალური პოლიტიკა“ უფრო ფრთხილად გაეტარებინა. ამიტომ ის ბევრად ნაკლები მასშტაბით ჩატარდა, ვიდრე ლატვიასა და ესტონეთში, – წერს „ტაიმსი“.

რუსეთისადმი ნეგატიური განწყობილება იზრდება უკრაინაშიც. როზუმკოვის სახელობის ანალიტიკური ცენტრის მონაცემებით, უკრაინელთა 74% მხარს ევროკავშირში შესვლას უჭერს. ამ იდეას ყველაზე მეტი მხარდამჭერი უკრაინის დასავლეთ და ცენტრალურ რეგიონებში ჰყავს. რაც შეეხება აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონებს, სადაც რუსულენოვანი მოსახლეობა დიდი ოდენობითაა წარმოდგენილი, აქ მონაცემები შემდეგია: 46% ევროკავშირში შესვლას ემხრობა, 30% დსთ-ს საბაჟო კავშირში შესვლას ამჯობინებს, დანარჩენს ეს საკითხი არ აინტერესებს. აღსანიშნავია, რომ პროდასავლური განწყობილებები უმეტესწილად ახალგაზრდობასა და ინტელიგენციის წრეებში დომინირებს, მოსკოვის მომხრეთა ბანაკს კი უმეტესწილად ვეტერანები (არმიისა და სუკის ყოფილი ოფიცრები) და ლუმპენები შეადგენენ.

– გამომდინარე აქედან, გასაგები ხდება, თუ რატომ ვერ იხარა უკრაინაში პრორუსულმა სეპარატიზმმა და რატომ ვერ აზვირთდა აქ მასობრივი მოსკვოფილური მოძრაობა, – აღნიშნავს რადიო „თავისუფლება“, – ვეტერანებისა და ლუმპენების ხარჯზე შეიძლება მოიპოვო ხმები, მაგრამ ამ ხალხის რეალურ ძალად გადაქცევა შეუძლებელია.

ექსპერტები, რომლებიც უკრაინაში შექმნილ ვითარებას მოიხილავენ, ერთ ფრიად საინტერესო ფაქტზე ამახვილებენ ყურადღებას: რუსიფიკაციის დონე უკრაინაში მართლაც ძალზე მაღალი იყო, რისი შედეგიცაა ის, რომ დღეს უკრაინელთა 25%-თვის რუსული მშობლიური ენაა. ამავე დროს, რუსულენოვან უკრაინელთა 17% დამოუკიდებლობას უჭერს მხარს.

– რატომ წარმოიშვა „რუსულენოვანი უკრაინული პატრიოტიზმი“? ალბათ, მომავალი მწერლები და მეცნიერები ამ მახინჯ მოვლენას დამაჯერებელ ახსნას მოუძებნიან. პირადად მე თავს დათრგუნულად ვგრძნობდი, როცა დონეცკელი ყმაწვილი რუსულ ენაზე მიხსნიდა, რომ, სამწუხაროდ, უკრაინული ცუდად იცოდა, რადგანაც მისმა თაობამ ტოტალური რუსიფიკაცია განიცადა. მიუხედავად ამისა, როგორც მან თქვა, მასში უკრაინელი მაინც ვერ ჩაკლეს, ის პატრიოტია და სტეპან ბანდერას გმირად მიიჩნევს, – წერს რუსი პოლიტიკოსი ბორის ნემცოვი.

ბატონი ნემცოვი, როგორც ცნობილია, მხურვალე დემოკრატი და ვლადიმერ პუტინის მოწინააღმდეგეა. თავის დროზე მან „ნარინჯისფერ რევოლუციას“ დაუჭირა მხარი. მიუხედავად ამისა, უკრაინის დამოუკიდებლობასთან შეგუება მასაც უჭირს და უკრაინული პატრიოტიზმის მომძლავრებას კატასტროფად მიიჩნევს. მსგავს პოზიციაზე დგას ცნობილი რუსი ჟურნალისტი და მწერალი ლეონიდ მლეჩინიც. ნემცოვისაგან განსხვავებით, ის ცდილობს, „უკრაინული ნაციონალიზმის“ გაძლიერების მიზეზები ახსნას. მლეჩინი წერდა, რომ პუტინის მიერ დაშვებული შეცდომები რუსეთს ძვირად დაუჯდა და უკრაინაში შექმნილი ვითარებაც ამისი შედეგია. ბუნებრივია, მლეჩინის ბევრ აზრს ვერ დავეთანხმებით. ასე მაგალითად, არაფრით არ შეგვიძლია გავიზიაროთ მოსაზრება, რომ „რუსეთი და უკრაინა ერთ მთლიანს წარმოადგენდნენ“ და „ამ მთლიანობის აღდგენა ისტორიული კანონზომიერებაა“. ვერც იმას დავეთანხმებით, რომ დემოკრატიული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში რუსეთ-უკრაინის გაერთიანება გარდაუვალი იყო, რომ ეს „უკრაინის მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებს შეესაბამებოდა და მსოფლიო-გლობალიზაციის ჩარჩოებში ჯდებოდა“. მლეჩინს (ისევე, როგორც ბევრ მის კოლეგას) სურს, სასურველი რეალობად გაასაღოს. მიუხედავად ამისა, ისიც კი იძულებულია აღიაროს, რომ „უკრაინაში პრორუსული მოძრაობა ვერ განვითარდა“. მლეჩინი ამას ხსნის პუტინის შეცდომებით, რომლის შოვინისტურმა პოლიტიკამაც პირუკუ შედეგები მოიტანა:

– უკრაინული ნაციონალიზმი მტრის ხატის შექმნასა და სიძულვილზეა დამყარებული, – ამტკიცებს მლეჩინი, – მთავარ მტრად კი რუსეთი მიიჩნევა. პუტინის პოლიტიკამ ამ მიმდინარეობის გაძლიერება განაპირობა.

ბი-ბი-სის გამოკითხვამ დაადასტურა, რომ დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე მიმზიდველი ქვეყანაა გერმანია. ასე ფიქრობს გამოკითხულთა 70%. მეორე ადგილზეა კანადა, მესამეზე – დიდი ბრიტანეთი. ყველაზე ნეგატიური მაჩვენებელი კი ირანს აღმოაჩნდა. მის მიმართ გამოკითხულთა 87%-მა უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა. შემდეგ მოდიან ჩრდილოეთი კორეა და პაკისტანი. თუმცა მთავარი, რასაკვირველია, რუსეთის მიმართ დაფიქსირებული პოზიციაა. ვნახოთ, როგორ აისახება ეს დასავლეთის მიერ მოსკოვის მიმართ გატარებულ პოლიტიკაზე.

**ნიკა თევზაძე**

# აშშ-ს მიერ დაწესებული სანქციები ჩრდილოეთ კორეის დახმარებას ზღუდავს




ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ჩრდილოეთ კორეაზე დაწესებული ფინანსური სანქციები საერთაშორისო ორგანიზაციებს საშუალებას არ აძლევს, ქვეყანაში განვითარებითი პროექტები ახორციელონ. ამის შესახებ ინფორმაციას ბი-ბი-სი ავრცელებს. საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების განცხადებით, საერთაშორისო ბანკებმა შეაჩერეს ყველა ტრანზაქცია, რომელიც მიმართული იყო ჩრდილოეთ კორეის მთავარი სავალუტო ბანკისკენ. შედეგად ორგანიზაციები ვერ იღებენ საჭირო თანხებს და იძულებულები არიან, დახმარება მნიშვნელოვნად შეკვეცონ და უარი თქვან ისეთი პროექტების განხორციელებაზე, როგორებიცაა ჯანსაღი კვების მხარდაჭერა და სოფლის მეურნეობის განვითარება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ფხენიანის ოფიციალური წარმომადგენელი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ეწვია და ადგილობრივ ოფიციალურ პირებს დაუდასტურა, რომ ჩრდილოეთ კორეა მზადაა დიალოგისთვის და შექმნილი სიტუაციის მშვიდობიანად გადაწყვეტისთვის, თუმცა, ჯერ-ჯერობით უცნობია, როდის შედგება მოლაპარაკებები მხარეებს შორის.

ადრე ჩრდილოეთ კორეაში მოქმედ საქველმოქმედო ორგანიზაციებს თანხები ჩინეთის ბანკის გავლით ერიცხებოდა, მაგრამ ვაშინგტონის გავლენით, ჩინეთის ბანკმა ჩრდილოეთ კორეის მთავარი სავალუტო ბანკის ანგარიში საერთოდ გააუქმა.

შეგახსენებთ, რომ ბოლო დღეებში ჩრდილოეთ კორეამ აღმოსავლეთ სანაპიროებთან მცირე რადიუსის ოთხი ბალისტიკური რაკეტა გამოსცადა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ინფორმაცია სამხრეთ კორეის თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა.

სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, ჯერჯერობით გაურკვეველია ბალისტიკური რაკეტების გაშვება ცალკეულ მოქმედებას წარმოადგენდა, თუ ის ჩრდილოეთ კორეის სამხედრო წვრთნების ფარგლებში განხორციელდა.

ჩრდილოეთ კორეის მიერ აღმოსავლეთ სანაპიროებთან ითხი ბალისტიკური რაკეტის გაშვება იაპონიის თავდაცვის სამინისტრომაც დაადასტურა.

კორეის ნახევარკუნძულზე ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც ჩრდილოეთ კორეა ოპონენტებს ბირთვული იარაღის გამოყენებით დაემუქრა.

# სიმფონიური ორკესტრი ქველმოქმედებისთვის დაუკრავს

**ეკა ირემაშვილი**

3 ივნისს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი ქველმოქმედებისთვის დაუკრავს. ამავე ორკესტრის მსახიობის, მევიოლინე თამარ მალალაშვილის შვილს, 3 წლის ქეთა აბაშიძეს, ავტოავარიის შედეგად დაუზიანდა ზურგის ტვინი, ბავშვი 9 თვის მანძილზე დამოუკიდებლად ვერ სუნთქავს და ვერ მოძრაობს.

ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრი ამ მძიმე ფაქტთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

„და აი, გამოჩნდა იმედი! ისრაელის ერთ-ერთ კლინიკაში შესაძლებელია ქეთას მკურნალობა, რომლის სრული სარეაბილიტაციო კურსი 150 000 ა.შ.შ. დოლარი ღირს. ქეთას დასახმარებლად 3 ივნისს 20 საათზე გრიბოედოვის სახელობის რუსულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტები, გუნდი და სიმფონიური ორკესტრი საქველმოქმედო კონცერტს გამართავენ. ირაკლი ჩოლოყაშვილის დირიჟორობით კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ თეატრის სოლისტები: ირინე ალექსიძე, მზია დავითაშვილი, ლიანა კალმახელიძე, მარიკა მაჩიტიძე, ანა ცარციძე, ელენე ჯანჯალია, ვანო გალუაშვილი, ელდარ გეწაძე, სულხან გველესიანი, გოჩა დათუსანი-ჯილაური, როსტომ იაშვილი, ნიკოლოზ ლაგვილავა, ანზორ ხიდაშელი. კონცერტის სპეციალური სტუმარია ცნობილი ქართველი მომღერალი ვალერიანო (ნუგზარ) გამგებელი. კონცერტის სრული შემოსავალი სამკურნალოდ გადაეცემა პატარა ქეთას. ქეთა აბაშიძის დახმარების მსურველებს, და ასეთი ალბათ ბევრი იქნება, ასევე შეუძლიათ თანხის გადარიცხვა საბანკო ანგარიშზე გე02ტბ74 8613 6080 100003 (მიმღები – ააიპ ფონდი ქეთევან აბაშიძე). დაესწარით საქველმოქმედო კონცერტს და შეიტანეთ თქვენი წვლილი კეთილ საქმეში, ჩვენ ბევრნი ვართ და შევძლებთ!“ – აღნიშნულია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრის საგანგებო განცხადებაში.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სუფთა, წყალგაურეველი ღვინო; 2. ტბა კანადა-აშშ-ს საზღვარზე; 3. მოკლელულიანი შაშხანა; 4. კუთხური მიმართვა მამაკაცისადმი კახეთში; 5. ძვირფას ქვებზე მხატვრულად კვეთის ხელოვნება; 6. ქართული ხალხური ზღაპრების პერსონაჟი, ბოროტი არსება; 7. მონასტერი ქსნის ხეობაში; 10. მემკვიდრეობითობის მატარებელი ერთეული ცოცხალ ორგანიზმში; 11. არქიტექტურულ-სკულპტურული ნაგებობა; 12. ტკბილი წვენებით შეზავებული, სპირტიანი სასმელებისგან მომზადებული სასმელი; 13. მამალი ცხვარი; 16. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 18. პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი; 19. დიდი ღელვა ზღვაზე; 21. პოპულარული ბარ-რესტორანი ძველ თბილისში; 24. საქართველოში გავრცელებული ტროპიკული ხე, რომლისგანაც ღებულობენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს.

**თარაზულად:** 1. მსუბუქი ავტომობილების კონსტრუქტორი ამერიკელი ინჟინერი; 3. ერთბინიანი პატარა სახლი; 8. ძალზე მტკიცე მინერალი; 9. უკუდო მაიმუნი; 14. ყველაზე მაღალი მწვერვალი პირინეის ნახევარკუნძულზე; 15. კოლუმბიის დედაქალაქი; 17. ეგრისის მეფე; 20. პატიოსნება, სინდისი; 22. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 23. რომელიმე დარგის საწარმოთა გაერთიანება; 25. ფუტკრის სადგომი; 26. გადამდნარი კარაქი; 27. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; 28. სამშობლოდან განშორების სევდა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. პოპოლო“; 2. ოპტიკა; 3. კოქტო; 5. დოლი; 6. „კაჭიჭი“; 8. სიესტა; 11. ანჩისხატი; 13. კნესეტი; 14. ბალასტი; 15. „ფილიპსი“; 19. თუნი.

**თარაზულად**: 1. პინაკოთეკა; 4. ბოტდეკი; 7. პედანტი; 9. ტრუიზმი; 10. პასკა; 12. ვესტერნი; 16. ლაგოდეხი; 17. ვერსალი; 18. პალეოლითი; 20. ტალანტი; 21. ფითი; 22. „ბახთიარი“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. დევი; 2. ექო; 3. კოტირება; 4. ჭა; 5. ჩუქურთმა; 6. ლელო; 7. ხილნარი; 10. ლარი; 11. მუხამბაზი; 12. ფოტილიზი; 13. ქერი; 16. უჯარმა; 18. სიცილია; 19. ღვინიო; 21. ლიტვა; 24. ზებრა.

**თარაზულად**: 1. დამიანე; 3. „კაჭიჭი“; 8. ბუშელი; 9. ვალი; 14. წრუტო; 15. კეხურა; 17. ტუშე; 20. ბემოლი; 22. მაისი; 23. ვალიზა; 25. უხა; 26. როგი; 27. „აიდა“; 28. ბრაზავილი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**25 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,636 | ევრო — 2,1153 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,4692 | 100 რუსული რუბლი — 5,2389 |

## ამინდის პროგნოზი 25 მაისისთვის




## 25 აპრილიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

**მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები**

**ტომი 2**

**ჩეხური ზღაპრები**




**უკვე გამოსულია:**

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

**გამოსაცემად მზადდება:**

ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები

# თემურ ქეცბაია ხელფასის დეტალებს არ მალავს



მედიაში კიდევ ერთხელ გაჟღერდა თემა საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის – თემურ ქეცბაიას ანაზღაურების შესახებ. საზოგადოებისა და მედიის ინტერესიდან გამომდინარე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებს.

თემურ ქეცბაია:

– საქართველოს ნაკრებს უახლოეს ორ კვირაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ორი ამხანაგური მატჩი აქვს ჩასატარებელი ირლანდიისა და დანიის ნაკრები გუნდების წინააღმდეგ. მოახლოებული მატჩების წინ კი მედიის ერთ-ერთ მთავარ აქტუალურ თემად სამწვრთნელო შტაბის დაფინანსების საკითხი იქცა. სწორედ ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ, მედიასთან მოკლე კომენტარი გამეკეთებინა. საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა შტაბის წევრების ყოველთვიური ანაზღაურება ჯამში 100.000 ამერიკული დოლარის ეკვივალენტს ლარებში შეადგენს. ამ თანხაში სრულადაა გათვალისწინებული სამწვრთნელო შტაბის სრული შემადგენლობის სახელფასო ანაზღაურება. აგრეთვე – მათი მგზავრობის ხარჯები, რაშიც იგულისხმება ეროვნული ნაკრების წევრებისა და კანდიდატების საკლუბო მატჩების სანახავად ნაკრების მწვრთნელთა სასელექციო ვიზიტები სხვადასხვა ქვეყანაში. აგრეთვე, სასტუმროების ხარჯები. ჩემი და ეროვნული ნაკრები გუნდის სამწვრთნელო შტაბის კონტრაქტი და მისი პირობები საჯაროა, რომლის გაცნობის მოთხოვნითაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის ოფიციალურად არც ერთ მედიასაშუალებას არ მიუმართავს. კონტრაქტის ძირითადი დეტალები საზოგადოებისთვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ 2010 წელს, როდესაც აღნიშნული ხელშეკრულება სახელმწიფოს, ფედერაციასა და მწვრთნელებს შორის გაფორმდა და რომელიც ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა.

# სირიის ოპოზიცია ბაშარ ასადს ქვეყნიდან გამგზავრებას სთავაზობს

სირიის ოპოზიციური ძალების ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა მოაზ ჰატიბი, რომელიც სირიის ეროვნულ კოალიციას ხელმძღვანელობდა, აცხადებს, რომ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მიზნით, ბაშარ ასადმა ქვეყანა უნდა დატოვოს. ამის შესახებ ინფორმაციას ბი-ბი-სი ავრცელებს.

მოაზ ჰაბიტის განცხადებით, აუცილებელია, ბაშარ ასადსა და მისი ოჯახის წევრებს ქვეყნიდან შეუფერხებლად გასვლის საშუალება მიეცეს, თუ მოქმედი პრეზიდენტი დათანხმდება ხელისუფლების გადაბარებას ვიცე-პრეზიდენტისთვის ან პრემიერ-მინისტრისთვის.

სირიის ოპოზიციური ძალების შეთავაზების განსახილველად მოაზ ჰატიბი ასადს 20-დღიან ვადას აძლევს. ამ დრომდე სირიის მოქმედი პრეზიდენტი აცხადებს, რომ ნებაყოფლობით არ დატოვებს პოსტს. მისივე თქმით, მისი წასვლა არ გამოასწორებს სიტუაციას, პირიქით ქვეყანას კიდევ უკრო მეტ კონფლიქტში ჩაითრევს.

შეგახსენებთ, სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმა თავის დროზე თურქულ პრესასთან ინტერვიუში განაცხადა, რომ თუ მის ქვეყანას დასჭირდა, იგი აუცილებლად დატოვებს თანამდებობას. თუმცა დაამატა, რომ ასეთი გადაწყვეტილება სირიის ხალხმა დემოკრატიული არჩევნების საშუალებით უნდა მიიღოს და არა მესამე ძალის-აშშ-ის დახმარებით.



# ბარაკ ობამა: ამერიკა მუდმივად ვერ იბრძოლებს ტერორიზმის წინააღმდეგ



ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა ამერიკელებს ტერორიზმთან ბრძოლის მიზნების გადახედვისკენ მოუწოდებს და ძალის გამოყენების შემცირებაზე საუბრობს. თავდაცვის ეროვნულ უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას პრეზიდენტი, ასევე, ტერორიზმთან „მუდმივი“ ბრძოლის საკითხსაც შეეხო.

„ჩვენ ვერ შევძლებთ ძალის გამოყენებას ყველგან, სადაც რადიკალური იდეოლოგია გამძაფრდება. უნდა შემუშავდეს ერთიანი სტრატეგია ტერორიზმის ფესვებში გასანადგურებლად, სხვა შემთხვევაში უპილოტოებით, სპეციალური დანიშნულების რაზმებითა და შეიარაღებული ძალებით ბრძოლა კრახისთვისაა განწირული“, – განაცხადა ობამამ. პრეზიდენტმა გამართლებული უწოდა საზღვარგარეთ უპილოტო მფრინავების გამოყენებას და ამასთან, მწუხარება გამოთქვა ოპერაციების დროს მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვის გამო.

„უპილოტო მფრინავების გამოყენება კრიტიკის ობიექტი გახდა მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვის ფაქტების გამო, რაც თავისთავად გასაგებია. სახელისუფლებო ძალებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს მსხვერპლის შესახებ სხვადასხვა შეხედულება აქვთ და ესეც გასაგებია, მაგრამ ფაქტია, რომ მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში ყველა ომის თანმდევი სამწუხარო ელემენტია“, – განაცხადა პრეზიდენტმა.

ბარაკ ობამას თქმით, ამერიკის კონგრესი უახლოეს მომავალში გადახედავს სტრატეგიას უპილოტო მფრინავების შესახებ და მიიღებს ნორმებს, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს ყველა სავარაუდო რისკს. ამასთან, პრეზიდენტის თქმით, აუცილებელია, რომ უპილოტო მფრინავების გამოყენება მნიშვნელოვნად შემცირდეს 2014 წლის ბოლოსთვის. სწორედ 2014 წლის ბოლოს ამერიკის შეერთებული შტატების სახედრო კონტინგენტი ავღანეთს დატოვებს.

შეგახსენებთ, ამერიკის მიერ უპილოტოებიდან განხორციელებული თავდასხმები სხვა ქვეყნებთან ერთად, პაკისტანის მოსახლეობის განსაკუთრებულ აგრესიას იწვევს, სადაც ამ ტიპის საფრენი აპარატიდან განხორციელებულ იერიშიებს არაერთი მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა.

## ასტროპროგნოზი

### 25 მაისი – წარმატებული დღეა

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – მხიარულ ხასიათზე ხართ, ოცნება აგისრულდებათ. **ტყუპები** – მთლიანობაში წარმატებული დღეა, ყველა საქმე გამოგდით. **კირჩხიბი** – ახალი საქმე გაამართლებს, ფული გექნებათ. **ლომი** – ყურადღების ცენტრში ხართ, წარმატება არ აგცდებათ. **ქალწული** – ძველი საქმის კეთება თუ მოგბეზრდათ, რამე ახალი მოიფიქრეთ. **სასწორი** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ღრიანკალი** – სამუშაოს შესრულების შემდეგ დაჯილდოვდებით. **მშვილდოსანი** – კარგ ფორმაში ხართ, თანაც გახალისებული. **თხის რქა** – ფული გაქვთ, გელით სხვა წარმატებაც. **თხის რქა** – არ აყვეთ სხვებს, თქვენი საქმე მიიყვანეთ ბოლომდე. **მერწყული** – სახლში სიახლეა, მალე სტუმრები გეყოლებათ. **თევზები** – თქვენი დღეა, იაქტიურეთ.

### 26 მაისი – ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** — დაისვენეთ და გაერთეთ, დღეს ნუ გადაიღლებით. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარი აზრი შეინარჩუნეთ. **კირჩხიბი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **ლომი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ქალწული** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **სასწორი** — თქვენი საქმე წინ წავა, მთავარია არ იზარმაცოთ. **ღრიანკალი** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **მშვილდოსანი** — ახალი პროექტი გაამართლებს, არ გამოეთიშოთ საქმეს. **თხის რქა** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ვიტამინები. **მერწყული** — მეგობრებისგან ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **თევზები** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. პოპულარული ამერიკული ეკონომიურ-პოლიტიკური ჟურნალი; 2. მსხლის ერთ-ერთი ჯიში; 3. ლონდონში, ცვილის ფიგურების მუზეუმის დამაარსებელი; 5. სანადირო თოფების წარმოების ცენტრი გერმანიაში; 6. ფრანგი მოქანდაკე; 8. უარყოფითად დამუხტული იონი; 11. ქუჩის ტელეფონავტომატი; 13. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 14. მე-16 საუკუნის გერმანელი მხატვარი; 15. ქართული რადიო; 19. საავტომობილო შეჯიბრების ერთ-ერთი სახეობა.

**თარაზულად:** 1. თერმომეტრის გამომგონებელი გერმანელი ფიზიკოსი; 4. ნაყინის დასამზადებელი აპარატი; 7. აეროპორტი რიგაში; 9. პატარა თევზსაჭერი გემი; 10. ჯარების მართვის ორგანო; 12. უკმაყოფილების ენერგიული გამოხატვა; 16. მჭერმეტყველების თეორია; 17. ჩინური, ლოგიკური მაგიდის სათამაშო; 18. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 20. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ძველად საქართველოში; 21. სამშენებლო საქმეში გამოყენებული გამომწვარი თაბაშირი; 22. სამგლოვიარო მესა კათოლიკურ მღვდელთმსახურებაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

# ოხოტის ზღვაში 8,2 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა

ოხოტის ზღვაში 8,2 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა.



რუსული მედიის ცნობით, მიწისქვეშა ბიძგები კრასნოიარსკში, პეტროპავლოვსკში, ციმბირსა და მოსკოვშიც იგრძნობოდა.

ძლიერმა მიწისძვრამ ხალხში პანიკა გამოიწვია.

ინფორმაცია არ ვრცელდება, არც დაშავებულებისა და ნგრევის შესახებ.

სახალინისა და კურილიის სანაპიროებზე მოსალოდნელია ცუნამი.

აშშ-ის სპეციალისტების ინფორმაციით, მიწისძვრის ცენტრი, რომელიც დღეს დილას 09 სთ და 44 წთ (მოსკოვის დროით) დაფიქსირდა, მდებარეობდა 602 კმ სიღრმეში.